# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№16 (9848) 2025 წლის 7 თებერვალი, პარასკევი

ფასი 1,5 ლარი


## საქართველოს ოქროს ხანიდან 900 წელი გავიდა!



### პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 8 თებერვალს აღმაშენებლის გამზირიდან წმინდა სამების საკათედრო ტაძრამდე საზეიმო მსვლელობა მოეწყობა

**მსვლელოზის ორგანიზატორები არიან საქართველოს საპატრიარქო და „დავითიანნი“.**

„პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 8 თებერვალს, 13:30 საათზე, დაიწყება საზეიმო მსვლელობა აღმაშენებლის გამზირიდან (24-ე სკოლიდან) სამების ტაძრამდე, სადაც გაიმართება საზეიმო ღონისძიება და გადავიხდით პარაკლისს. ერთად აღვნიშნოთ დავითობა – საქართველოს ოქროს ხანის დასაწყისიდან 900 წელი.

**შემოგვიერთდით!“**

...დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვანი მეფობითა, არამედ თავისი დიდბუნებოვანი კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავისი ეროვნებისა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამასთან, შემწყნარებელი სხვისი მაშინ, როცა იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არ ჰზოგავდა... ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან?!

**ილია ჭავჭავაძე**

1888 წ. 26 იანვარი




**წინ, წინაპრებისკენ!**





**ბაია ამაშუკელი**

## რეზო ამაშუკელმა სამშობლოსთვის მფეთქავი გული წაიღო იქ, მარადისობაში!

7

## ილონ მასკის გავლენას, როგორც ჩანს, ვერავინ აკონტროლებს




8

## როგორ გამოურეცხეს ტვინები ჩვენს ახალგაზრდებს!

**USAID-ის მიერ საქართველოში, თითქმის, 42 მლნ დოლარი მხოლოდ წინასაარჩევნოდ იყო გამოყოფილი არეულობის შესაქმნელად**

3




6

## თხრობის სტილი, თხრობის მანერა



## ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად იქნება!

2

# კასიმ-ჟომარტ ტოკაევი:
# პრემიერის თანამდებობაზე დამსახურებული დანიშვნა მეტყველებს თქვენს ძლიერ ლიდერობაზე საქართველოში



**საქართველო არის ყაზახეთის მეგობარი ქვეყანა, ჩვენ გვაქვს ეკონომიკური ზრდის შეფასების შესაძლებლობა, რაც სარგებელს მოუტანს ჩვენს ორმხრივ თანამშრომლობას, – ამის შესახებ ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი კობახიძესთან შეხვედრაზე განაცხადა.**

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, ყაზახეთის პრეზიდენტმა ირაკლი კობახიძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელახალი დანიშვნა მიულოცა და აღნიშნა, რომ საქართველო არის ყაზახეთის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი.

„გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ხელახლა დანიშვნას. საქართველო არის ყაზახეთის ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორი და თქვენი დამსახურებული დანიშვნა მეტყველებს თქვენს ძლიერ ლიდერობაზე საქართველოში. გისურვებთ წარმატებას. ასევე, ვსარგებლობ ამ შესაძლებლობით, რათა მაღალი შეფასება მივცე საქართველოს თქვენ მიერ ბოლო წლებში მიღწეული უმნიშვნელოვანესი პროგრესისთვის.

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. რამდენადაც ვიცი, შარშან ეკონომიკურმა ზრდამ მიაღწია 9.4%-ს, რაც ძალიან შთამბეჭდავ შედეგს წარმოადგენს.

საქართველო არის ყაზახეთის მეგობარი ქვეყანა. ჩვენ გვაქვს ამ ეკონომიკური ზრდის შეფასების შესაძლებლობა, რაც, რა თქმა უნდა, სარგებელს მოუტანს ჩვენს ორმხრივ თანამშრომლობას.

თქვენი ვიზიტი ყაზახეთში ძალიან მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ თანამშრომლობას და ურთიერთობებს ბევრ მნიშვნელოვან სტრატეგიულ სფეროში“...

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ყაზახ კოლეგას ოლჟას ბექტენოვს შეხვდა

**ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის სახლში გამართულ პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა სხვადასხვა სფეროში ორი ქვეყნის წარმატებულ თანამშრომლობაზე ისაუბრეს.**

აღინიშნა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების დადებითი დინამიკა და ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის როლი ამ მიმართულებით. მხარეებმა დადებითად შეაფასეს ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა, რომელიც 2024 წელს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 25%-ით გაიზარდა. შეხვედრისას ასევე განიხილეს ექსპორტის მოცულობის ზრდის პოტენციალი და ხაზი გაუსვეს ამ კუთხით არსებული შესაძლებლობების სრულად ათვისების მნიშვნელობას.

ირაკლი კობახიძემ ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოფიციალური ვიზიტით საქართველოში მოიწვია.

# ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად იქნება!

**ჩვენ ბოლომდე უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ქვეყანა, ამისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი — კრიმინალს დაერქვას კრიმინალი, უცხოელ აგენტს დაერქვას უცხოელი აგენტი, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ყაზახეთში ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა.**

**რეალურად** ეს დანაშაულები დევს ხელისგულზე – ეს არის ადამიანების მკვლელობა, წამება ციხეებში, სისტემური დანაშაული, ეს არის ასევე ბიზნესის რეკეტი, ეს არის 2008 წლის ომის დანაშაული და ა.შ. ეს ყველაფერი მართალია, დევს ხელისგულზე, მაგრამ ყველაფერს კიდევ ერთხელ სჭირდება ჩაღრმავება, რათა საზოგადოებას შევახსენოთ ყველაფერი და ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. ჩვენ გვჭირდება ერთგვარი ნიურნბერგის პროცესი იმისათვის, რომ საქართველო აღარასდროს დაუბრუნდეს ბნელ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც ჩვენ გვახსოვს ასე მძიმედ 2004-2012 წლებიდან. არავინ არასდროს არ უნდა დააბრუნოს ჩვენი ქვეყანა იმ რეჟიმში, რომელიც მოქმედებდა 2012 წლამდე. ეს იყო გარედან მართული სისხლიანი რეჟიმი, რომლის დანაშაულთა გამოძიებაც მოხდება სწორედ საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ფარგლებში.

* * *

**დღევანდელი** დღე პოლიტიკური თვალსაზრისით არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის. მინდა, გავუსვა ასევე იმ გადაწყვეტილების მნიშვნელობას ხაზი, რომელიც იქნა მიღებული საპარლამენტო მანდატების შეწყვეტასთან დაკავშირებით. როგორც მოგეხსენებათ, ოპოზიციამ შეიტანა განაცხადი ჯერ კიდევ ნოემბერში მანდატების შეწყვეტასთან დაკავშირებით. მათ ჰქონდათ გარკვეული დრო, ჩვენ არ ავჩქარდით, დეკემბერშიც შეიძლებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება, თუმცა დამატებით, დაახლოებით 2 თვე მივეცით რადიკალურ ოპოზიციას იმისათვის, რომ გადაეხედათ საკუთარი გადაწყვეტილებისთვის. უფრო სწორად, ეს დრო მივეცით არა რადიკალურ ოპოზიციას, არამედ მათ პატრონებს, ე.წ. **Deep State**-ს, იგივე „გლობალურ ომის პარტიას“, თუმცა მათ არ შეცვალეს საკუთარი დამოკიდებულება და კვლავაც ძალაში დარჩა მათი გადაწყვეტილება პარლამენტში ოპოზიციის არშეყვანის თაობაზე. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მმართველ გუნდს, პარლამენტს არ ჰქონდა არავითარი სხვა ალტერნატივა.

**არ შეიძლება ქვეყანაში დაკანონდეს საბოტაჟი, რაც ჩვენ ვიხილეთ 4 წლის წინ და რასაც ვხედავდით ასევე ამ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ პარლამენტმა მიიღო უალტერნატივო გადაწყვეტილება მანდატის შეწყვეტის თაობაზე.** განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

**USAID-ის დაფინანსება არ ხმარდებოდა რეალურ მიზანს, ერთგვარ საქველმოქმედო მიზნებს, ეს ყველაფერი ხმარდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოზეა კონკრეტულად საუბარი, რევოლუციების მოწყობას, არეულობის შემოტანას, ქვეყნის არევას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ყაზახეთში, ჟურნალისტებს განუცხადა.**

რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით 2023 წლის გაზაფხულზე, შემდეგ უკვე შარშან გაზაფხულზე, იმაზე დღეს საუბრობს უკვე ოფიციალურად აშშ-ის ხელისუფლება. საუბარია ამაზე, რომ USAID-ის დაფინანსება არ ხმარდებოდა რეალურ მიზანს, ერთგვარ საქველმოქმედო მიზნებს, ეს ყველაფერი ხმარდებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოზეა კონკრეტულად საუბარი, რევოლუციების მოწყობას, არეულობის შემოტანას, ქვეყნის არევას და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს სჭირდება დამატებითი ჩაძიება. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ სამი თვით შეჩერდა USAID-ის დაფინანსება.

მთავარია ჩვენთვის, რომ ეს ასე დარჩეს, ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ USAID-მა აღარასდროს აღარ სცადოს ჩვენს ქვეყანაში ვითარების არევა, აღარასდროს აღარ სცადოს მაგალითად, პარალელური დათვლის შედეგების გაყალბება, ასევე რევოლუციური პროცესების პირდაპირი მხარდაჭერა და ა.შ. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ სამთვიანი შეჩერების მექანიზმი ბოლომდე დარჩება ძალაში, – განაცხადა პრემიერმა.

* * *

**სახელმწიფო ბოლომდე ზრუნავს ყველა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და მზია ამაღლობელის შემთხვევაშიც ზრუნვა არის მაქსიმალური**, – განუცხადა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს.

**„მე მაქვს ასევე კონკრეტულად ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ გამოკვლევები ჩატარდა, ყველაფერი არის ნორმის ფარგლებში. რა თქმა უნდა, გაგრძელდება დაკვირვება და ზრუნვა ყველა პატიმრის ჯანმრთელობაზე, მათ შორის კონკრეტულად ამ პატიმრის, მზია ამაღლობელის ჯანმრთელობაზე. ეს არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. აქაც განსხვავდებით ჩვენ იმ ხელისუფლებისგან, რომელიც არათუ არ ზრუნავდა პატიმრების ჯანმრთელობაზე, პირიქით, ყველაფერს აკეთებდა პატიმრების ჯანმრთელობის გაუარესებისთვის“**, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

**ცნობისთვის, ბათუმის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე ნინო სახელაშვილმა ინტერნეტ გამოცემა „ნეტგაზეთისა“ და „ბათუმელების“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა**

მზია ამაღლობელს პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით ბრალი წარუდგინა, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დგებუაძემ განაცხადა: „ყველა პირი, რომელიც დაკავდა ადმინისტრაციული წესით, არის დაკავებული სამართალდარღვევისთვის. კონკრეტულ მტკიცებულებებს წარმოვადგენთ სასამართლოში და იქ იმსჯელებს მოსამართლე, არაკანონიერად დავაკავეთ თუ კანონიერად. მზია ამაღლობელის დაკავების კადრები არსებობს, რომელსაც თუ ნახავთ, თქვენ თავად გასცემთ ამ კითხვას პასუხს. ახლა კითხვებზე პასუხისგან თავს შევიკავებ, რადგან ჩემ მიმართ იყო მისი მხრიდან თავდასხმა, დანარჩენს სასამართლოში გავარკვევთ“.

* * *

**ჩვენი** ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება და სურვილი იყო „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ დასრულება და ამ „კოლექტიურ ნაცმოძრაობაში“ იგულისხმება არამხოლოდ შესაბამისი პარტიები, არამედ შესაბამისი „ენჯეოებიც“, ვფიქრობ, ყველაფერი ვითარდება სწორი მიმართულებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ყაზახეთში ქართველი ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომელიც გიორგი კანდელაკის არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან საზოგადოებისთვის დახმარების თხოვნას შეეხებოდა.

**ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ სახელმწიფო არის სახელმწიფო და არავის არ უნდა მიეცეს სახელმწიფოს შეურაცხყოფის, დაკნინების უფლება. იგივე პოლიცია გამოხატავს სახელმწიფოს, იგივე სასამართლო, მოსამართლე გამოხატავს სახელმწიფოს. როგორც კი ეს პრინციპი ირღვევა, სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელშეუხებლობის პრინციპი, მაშინვე იწყება ხოლმე სახელმწიფოს შერყევა, როგორც ასეთი. რასაც ვაკვირდებოდი, ამის მიზანმიმართული მცდელობა იყო მთელი ამ თვეების განმავლობაში, თუმცა თქვენ ხედავთ, რომ სახელმწიფო დგას მოწოდების სიმაღლეზე. იმისათვის, რომ შეუქცევადი გახდეს ის პროცესი, რაც უკავშირდება სახელმწიფოს განმტკიცებას, ჩვენ გვჭირდება ამ ყველაფრის უზრუნველყოფა საკანონმდებლო ცვლილებებითაც და ზუსტად ამას ემსახურება ის ცვლილებები, რომლებიც შედის როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. სახელმწიფო იქნება ხელშეუხებელი და ჩვენ ვერავის, მით უმეტეს გარე ძალებს და უცხოელ აგენტებს ვერ მივცემთ იმის უფლებას, რომ ხელი აღმართონ ქართულ სახელმწიფოსა და ამ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე!**

**ირაკლი კობახიძე**
**5 თებერვალი, 2025 წ.**
**ასტანა, ყაზახეთი.**



# კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების...

**გონება მოგვემატა, მაგრამ სიბრძნე დავკარგეთ!..**

**ილია II**

**ისედაც სახელგატეხილი ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო მაშინ გაირყვნა და გათახსირდა, როცა ჰალსტუხიანმა ხვლიკებმა, ულვაშიანმა ქათმებმა და გაკენზარდებიანმა გატებმა, დაიკავეს ადგილები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში, ეს მანკიერი პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა უკანასკნელ პერიოდში, რადგან საქართველოს პარლამენტი ათასი ჯურის თაღლითებისა და მედროვეების თავშესაფარი გახდა.**

იმაზე მეტი სიმდაბლე რა უნდა იყოს, როცა პოლიტიკური პარტიის ლიდერი ახალგაზრდების გულწრფელ პროტესტს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს. განა დასაგმობი არაა გიორგი ვაშაძის იდიოტური პოლიტიკური ამბიციები, როცა ახალგაზრდებს მოუწოდებს, მშობლებს პირში მიახალეთ – თქვენი შვილობა გვრცხვენიაო.

ნუთუ რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ხელისუფლებაში მოსვლისათვის სხვა გზა ვერ მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ 10-12 წლის მოზარდები, უფროსკლასელები და სტუდენტები ფარად აიფარონ, მოამარაგეს „მოლოტოვის კოქტეილებით“, ქვებით, რკინის ნაჭრებით, შურდულებით თუ პიროტექნიკით, (ეს ყველაფერი ბლომად აღმოაჩინა პოლიციამ რადიკალური პარტიების ოფისებსა და საწყობებში), ქალბატონი ლიაკა ხოშტარია თავმომწონედ აცხადებდა – სპეციალურად შევიძინეო, **მერედა, ვისთვის, ვის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიძინა მოსკოვში უმაღლესდამთავრებულმა ქალბატონმა, თავისი მოძმის, თავისი ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად?! ვაი, ბედკრულო საქართველოვ!**

სულ მიკვირს, ნუთუ ასეთი ცნობიერების ადამიანებმა, მით უფრო, პარტიების ლიდერებმა არ უნდა იცოდნენ, რომ ღირსეული ქართველი ამომრჩეველი არასოდეს გამოუცხადებს ნდობას არც ასეთ პარტიას და არც მის ლიდერებს, რომლებიც შვილებს მოუწოდებენ, პოლიციელების ცოცხლად დაწვისკენ, და როცა, ხუთი წუთის დაგვიანებისათვის, ისევ მათვე საშველად დასჭირდებათ პოლიცია, მაშინ ვაი-ვიშს ტეხენ.

რაოდენ საწყენია, როცა ე.წ. ,,მშვიდობიანი აქციების“ შემდეგ ერთ დროს ქართველთა უპირველესი გამზირი და მისი შემოგარენი ,,ბრძოლის ველს“ დაამსგავსეს, რაც ხელში მოხვდათ, ბარიკადებად აღმართეს, მოსახლეობას ეზოებში შეუცვივდნენ და საგულდაგულოდ დაარბიეს, დალეწეს პროსპექტზე და მის მიმდებარედ მარკეტების თუ კაფე-ბარების ვიტრინები...

**მაინტერესებს, როგორ განმარტავენ რადიკალური ოპოზიციის პარტიები ტერმინს ,,მშვიდობიანი აქციები“, როგორი უნდა იყოს ,,მშვიდობიანი აქცია“? საზოგადოებას ისიც აინტერესებს, ვინ შეიმუშავა სპეციალური პლაკატი, რომელიც ახალგაზრდებს მოუწოდებს, – ჩაუფურთხე სადილში ,,ქოცებს“ – კაფეში, ,,რესტორანში“ და ა.შ. ეს კი სცილდება ყველაზე ზნედაცემული ადამიანის მოქმედებას...**

მშვიდობიან აქციებზე, პარლამენტის პირველ სართულზე, 40 ოთახზე მეტი დაიწვა, დაიმტვრა ავეჯი, რა თანხა დაუჯდება სახელმწიფოს დანგრეულ-გაპარტახებული ქონების აღდგენა? რაც მის აღდგენაზე ათასები დაიხარჯება, ის რომ სოციალურად დაუცველებს და მოხუც პენსიონერებს მოხმარებოდა, ალბათ, უკეთესი იქნებოდა. საინტერესოა, ოპოზიციის ლიდერებმა თუ დაიანგარიშეს, რა ზარალი მიადგა სახელმწიფოს?!

ძალიან გამიკვირდა, როცა რუსთაველზე მეტად თვალშისაცემ ტრანსპარანტს მოვკარი თვალი, რომელიც დედებს მიჰქონდათ – **,,ხელი არ ახლო, ჩემი შვილია!“.** ეს მოწოდება მეტად საგულისხმოა და გულში ჩამწვდომი. უპრიანი იქნებოდა, ტრანსპარანტი გადაეკეთებინათ და დაეწერათ: **,,ხელი მოჰკიდე შენს შვილს“** და არა ჭიჭე ვაშაძის გამონათქვამით ეხელმძღვანელათ: **,,მრცხვენია, რომ შენი შვილი ვარ“.** მაინც რამ ათქმევინა უვიც პოლიტიკოსს ასეთი მკრეხელური სიტყვები, ეს არის შვილის ოჯახში აღზრდა? განა ამ გზით და მოწოდებებით გავზრდით საქართველოს მომავალს?!

ძნელი დასაჯერებელია, რადიკალურ ოპოზიციას სკოლაში მაინც არ ჰქონდეს წაკითხული ალექსანდრე ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა“. იმის ნაცვლად რომ, ახალგაზრდებს ზრდიდნენ დიდ მამულიშვილებად და გვარის ერთგულ გამგრძელებლებად. ბაკურიანში კი არ უნდა აგზავნიდნენ ტრენინგებზე, თუ როგორ დაანგრიონ სიმწრით აშენებული ქვეყანა. ეს არის თქვენი სახე და მომავალი, პატივცემულო ოპოზიციონერებო!

დიდი ხნის წინათ წავიკითხე და მინდა, შეგახსენოთ. შვილმა რომ მამამისი გოდრით აიყვანა მაღალ მთაზე და იქიდან გადმოგდება დაუპირა, მამამ უთხრა: – გოდორს გაუფრთხილდი, კარგად შეინახე, შენს შვილებს გამოადგებაო. არც ქართული მწარედ ნათქვამი ანდაზა დაივიწყოთ: **,,პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო“, ,,კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.** კიდევ სხვა ანდაზები გაიხსენეთ, ან გადაიკითხეთ, თქვენთვის საჭირო დასკვნებს გამოიტანთ.

**მართლაც, ვაი, შენ, ბედკრულო საქართველოვ, ვის ხელში ხარ?**

საქართველოს პარლამენტის სხდომებს სისტემატურად ვადევნებთ თვალს, სამწუხაროდ, არ გვახსენდება იმ სხდომებზე ოპოზიციური პარტიების დეპუტატების გამოსვლებში რაიმე დადებითი, რაციონალური წინადადება მოგვესმინოს. გვაინტერესებს, პარლამენტის რომელი კანონის მიღებაში მიიღეს მონაწილეობა ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა, რა წვლილი შეიტანეს ევროპარლამენტის წევრად მიღებასთან დაკავშირებით?

რა მწარედ მახსენდება, ევროპარლამენტში წარდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში, ხელის მოწერა იყო საჭირო და ოპოზიციონერმა დეპუტატებმა უარი განუცხადეს ქალბატონ მაკა ბოჭორიშვილს. დღეს ისევ ის ადამიანები უმხედრდებიან ხელისუფლებას, რატომ შეწყვიტა ევროპარლამენტთან დიალოგიო. ამაზე მეტი მკრეხელობა და საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შეყრა შეუძლებელია.

ამ ორი-სამი წლის წინათ, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს ყველა კუთხიდან, ჟურნალისტებს უხმო ორბელიანების სასახლეში, იმ თავყრილობაზე მეც მომიწია ყოფნა. გულით გავიხარე, როცა ქალბატონმა სალომემ ჟურნალისტების წინაშე ხაზგასმით გააჟღერა თავისი აზრი: – **თქვენი დახმარებაც მჭირდება და მინდა, დავიწყო მუშაობა სახელისუფლებო პარტიის და ოპოზიციის შერიგებისა და დაახლოებისათვისო.**

**მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, თუ როგორ დამთავრდა ქალბატონი პრეზიდენტის მცდელობა, პოზიციისა და ოპოზიციის შერიგება – კარგად დავინახეთ. დღეს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და რადიკალური ოპოზიცია ერთნაირი დღის წესრიგით აგრძელებენ მოქმედებას. რადგან 29 დეკემბრამდე ვერ მოხერხდა ხელისუფლების ჩამოშლა და ოპოზიციამ ვერ აისრულა ნატვრა, ახლა 20 იანვრამდე ფიქრობდნენ, რევოლუციით დაემხოთ არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული ,,ქართული ოცნება“. არც ეს ნატვრა აუსრულდათ...**

ოპოზიციური პარტიები კატეგორიულად აცხადებენ, არჩევნები მოგვპარეს, ვითხოვთ ხელახალი არჩევნების ჩატარებასო. პარლამენტში არ შევალთო, თუმცა არცერთი მამხილებელი ფაქტი არჩევნების გაყალბების თაობაზე არც გენპროკურატურაში და არც სასამართლოში არ წარუდგენიათ. სამ თვეზე მეტი გავიდა, არჩევნებიდან დღემდე, პარლამენტის სხდომებს ოთხი ოპოზიციური პარტიიდან არცერთი არ დასწრებია.

5 თებერვალს უმრავლესობის პარლამენტმა სრულიად სამართლიანად, სამი ოპოზიციური ბანდის 49 წარმომადგენელს მანდატები გაუუქმა!

გიორგი გახარიას პარტია ჯერჯერობით დუმს! იქნებ ის მაინც შევიდეს პარლამენტში.

**P.S. რუსთაველის პროსპექტზე ,,მშვიდობიანი აქციები“ უკვე ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს. ქვებსა და „მოლოტოვის კოქტეილებს“ აღარ ისვრიან. აქციის მონაწილეები პარლამენტის წინ დასეირნობენ, არც მომხსენებლები და არც სიტყვაში გამომსვლელები არ ჩანან. დღის წესრიგში კვლავ ხელისუფლების გადადგომა და ახალი ძალის მოსვლას ითხოვენ, მაგრამ ვინ არის ეს ახალი ძალა, რომელიც გაუძღვება ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, კონკრეტულად, არავინ ამბობს. დაველოდოთ ოკეანის გაღმა ამერიკელთა და მსოფლიოს დიდი იმედის – დონალდ ტრამპის მიერ დაწყებულ გარდაქმნებს... იქნებ ჩვენც გვეშველოს!**

**ვალერიან ლომიძე,**
**ბორჯომი – თბილისი.**

# როგორ გამოურეცხეს ტვინები ჩვენს ახალგაზრდებს!

## USAID-ის მიერ საქართველოში, თითქმის, 42 მლნ დოლარი მხოლოდ წინასაარჩევნოდ იყო გამოყოფილი არეულობის შესაქმნელად



**USAID-ის ირგვლივ ატეხილი დიდი სკანდალის ფონზე, საქართველოსთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციის ბოლო დროს მავნებლური საქმიანობა და ქვეყნის შიგნით რადიკალური ჯგუფების დაფინანსება გამოაშკარავდა. რაც ტრამპი ამერიკის პრეზიდენტი გახდა, დასტურდება, რომ კონკრეტული დონორების მხრიდან მიზანმიმართულად ხდებოდა კონკრეტული ორგანიზაციების, მათ შორის პოლიტიკურად აფილირებული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების მრავალმილიონიანი დაფინანსება, რომელთა მიზანი იყო, საქართველოში რევოლუციური სცენარი წარმართულიყო.**

მმართველი გუნდის თქმით, გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოსთვის თითქმის 42 მილიონი დოლარი მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით იყო გამოყოფილი USAID-ის მიერ. აშშ-ის ადმინისტრაცია ადასტურებს, რომ ეს ქვეყანაში არეულობის და გარკვეული საპროტესტო ფონის შესაქმნელად იყო გამიზნული. რასაც ხელისუფლება კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ცდილობდა საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, უკვე აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ საჯაროდ გამოიტანა.

**USAID-მა დიდი ხანია გადაუხვია თავის თავდაპირველ მისიას, რომელიც საზღვარგარეთ ამერიკული ინტერესების პასუხისმგებლიანად წინ წაწევას ითვალისწინებდა... ახლა სრულიად ნათელია, რომ USAID-ის დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი არ შეესაბამება შეერთებული შტატების ძირითად ეროვნულ ინტერესებს. ამ ვითარების გასაანალიზებლად და სააგენტოს საქმიანობაზე უკეთესი კონტროლის დასამყარებლად, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო USAID-ის ადმინისტრატორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე დანიშნა“**, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

დასასრული მე-4 გვ.

# როგორ გამოურეცხეს ტვინები ჩვენს ახალგაზრდებს!




**სოროსი, რომელიც მილიონერი იყო, არ გვეგონოს, რომ ის ამ ყველაფერს საკუთარი ფულით და რესურსებით უზრუნველყოფდა, ის ამას ამერიკელი მოქალაქეების მიერ გადასახადებში გადახდილი ფულით აკეთებდა.**

**მესამე გვერდიდან**

სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნეს, რომ მარკო რუბიომ ასევე აცნობა კონგრესს, რომ მიმდინარეობს USAID-ის საგარეო დახმარების საქმიანობის შემოწმება პოტენციური რეორგანიზაციის მიზნით.

**„ჩვენ ვაფასებთ USAID-ის საქმიანობას, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის სრულად შეესაბამება America First დღის წესრიგს და სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკას. ჩვენ გავაგრძელებთ ამერიკელი ხალხის ინტერესების დაცვას და უზრუნველვყოფთ, რომ მათი გადასახადებიდან გაღებული სახსრები მიზნობრივად იხარჯებოდეს“, - აღნიშნულია განცხადებაში.**

**USAID-მა, პოლიტიკური „ენჯეოების“ გავლით, საქართველოში 41,7 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა არჩევნებზე. მოსახლეობის რაოდენობის თანაფარდობას თუ ავიღებთ, ეს თანხა აშშ-ის არჩევნებში უცხოეთიდან 3,78 მილიარდი აშშ დოლარის ჩადების ეკვივალენტია. ეს შედარება კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება, თუკი საფუძვლად ავიღებთ ქვეყნების GDP-ს. შეუძლებელია, სხვა ქვეყნის არჩევნებზე 41,7 მილიონ აშშ დოლარს ხარჯავდე და არანაირ ანგარიშვალდებულებას არ გრძნობდე ამ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ.**

**USAID-მა, რომელიც 2020 წელს თავად იყო პარალელური დათვლის ყალბი შედეგების გავრცელების და არჩევნების აყირავების მცდელობის მონაწილე და 2024-შიც იგივე გააგრძელა, უნდა განმარტოს, როგორ ხდება, რომ ათეულობით მილიონი იხარჯება იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ყოველ ჯერზე არჩევნების აყირავების მოთავეები არიან“, –** სოციალურ ქსელში წერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი.**

მისივე თქმით, აშშ-მა შექმნა საგარეო დახმარების გასაჯაროების და გადამოწმების პროცესის წამოწყების მაგალითი. ამის ფონზე კი სხვა დონორების უმოქმედობა მიუღებელია.

როგორც ის აღნიშნავს, უნდა გადამოწმდეს და გასაჯაროვდეს ბრიუსელიდან და სხვა დედაქალაქებიდან ქართულ პოლიტიკაში დახარჯული თითოეული ცენტი.

„ხალხის ძალის“ წევრი და ანალიტიკოსი **ზურაბ ქადაგიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ USAID-ს, GDP-ს, NED-ს – ყველა ამ ორგანიზაციის თავისუფლად შეგვიძლია „დიფ სთეითი“ ვუწოდოთ. ესენი არიან ორგანიზაციები, რომლებიც ჩანერგილები არიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აქვთ უდიდესი ფინანსური რესურსი, გავლენა, რომელსაც კონკრეტული მიზნებისთვის იყენებენ.

„ავიღოთ კონკრეტულად ევროპა და საქართველო, და განვიხილოთ, როგორ ხდებოდა გავლენების გაძლიერება. ეს იყო განსაკუთრებული პერსონა სოროსი, რომელსაც აღმოსავლეთში და დასავლეთში ინსტიტუტი აქვს, რომელიც არაერთ ანგარიშში მოხვდა. ეს ორგანიზაცია წლებია ევროპაში ოპერირებს, სულ ახლახანს ალბანეთის და უკრაინის სასამართლო სისტემის რეფორმა განახორციელა. ეს ორივე ქვეყნის სასამართლო რეფორმა ქვეყნის საზღვრებს არის გასული და მათ ამ ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციები კურირებდნენ. საქართველოში კი დაანონსებული იყო ე.წ. ვეტინგის რეფორმა. ჯორჯ სოროსმა შექმნა ქსელი, რომელიც დისტრიბუციას უწევდა ომებს და რიგ შემთხვევაში რევოლუციებს. ან ხდებოდა რაღაცა სამართლებრივი არგუმენტებით შეფუთული სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებების ცვლილებები. **სოროსი,** რომელიც მილიონერი იყო, არ გვეგონოს, რომ ის ამ ყველაფერს საკუთარი ფულით და რესურსებით უზრუნველყოფდა, ის ამას ამერიკელი მოქალაქეების მიერ გადასახადებში გადახდილი ფულით აკეთებდა. პირდაპირ ისაუბრა ამაზე, ვიცე პრეზიდენტმა ვენსიმ – რატომ უნდა იხარჯებოდეს გაურკვეველ და ბუნდოვან რეფორმებში მისი ბებიის და ბაბუის დანაზოგი. ბოლო დროს კი ხშირად ეს ფინანსები, უკრაინელი მაღალჩინოსნების გამდიდრებაზე იხარჯებოდა. ამ ყველაფერს კი ჯორჯ სოროსის ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა. სოროსი გამოცხადდა პირველ ბოროტებად ტრამპის მხრიდან. ხოლო ყველა ეს სინდიკატი ორგანიზაცია უნდა გადამოწმდეს“, – ამბობს ქადაგიძე.

„ძალიან ნათელი მაგალითები შეგვიძლია ფერადი რევოლუციების ერთი-ერთში განვიხილოთ, თუ როგორ ზედმიწევნით, გვანან ერთმანეთს. ერთი მეთოდებით და პატარა ნიუანსებითაც კი ერთმანეთის ანალოგია. ასევე იყო **უკრაინის მაიდანი,** რომლის გადმოტანაც საქართველოზეც უნდოდათ. ასე მიმდინარეობს ახლა ეს უკვე სასაცილოდ ქცეული მარში, რომელიც ზუსტად გადმოკოპირებულია. ამ მარქსისტულმა – მემარცხენე სიგიჟის ისტორიამ, რაც უკვე დახურდავდა და სახე შეიძინა ლგბტქ პროპაგანდის, ვოუქიზმის ხატად ჩამოყალიბდა. წარმოვიდგინოთ, რომ ეს იდეოლოგია ამ ადამიანებმა მრწამსის დონეზე აიყვანეს.

თავისუფლად ამ ყველაფერს ანტიცივილიზაციის სამყარო ვუწოდოთ. წარმოიდგინეთ იმ დონეზე მიიყვანა ბაიდენის ადმინისტრაციამ და „დიფ სთეითმა“ ეს ყველაფერი, მთელს მსოფლიოს როგორც იდეა და შეცვლილი იდეოლოგია, ისე მიაწოდა, ხოლო აბსოლუტური უმრავლესობა მათ დაუპირისპირდა. ეს იყო ადამიანის გონებრივი სტერილიზაციაზე გათვლილი. ასევე ახალგაზრდების იდეოლოგიის და გონების გამორეცხვაზე“, – ამბობს ქადაგიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# ბაჩიაშვილი ინვესტორი კი არა, ბიძინა ივანიშვილის ბიზნესზე დახარბებული თაღლითია!

## ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი: ივანიშვილის ჩვენებით დადასტურდა, რომ გიორგი ბაჩიაშვილმა მისი კუთვნილი მრავალი ათასი ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა



**თბილისის საქალაქო სასამართლოში „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის დახურულ სხდომაზე დაკითხვა 5 თებერვალს მოხდა.**

**ივანიშვილის ადვოკატის თემო წიქვაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის ჩვენებით დადასტურდა, რომ გიორგი ბაჩიაშვილმა მისი კუთვნილი მრავალი ათასი ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა.**

**„დღევანდელი დაკითხვის შედეგად კვლავ დასტურდება ჩვენი მხარის პოზიცია, რომ რეალურად, ადგილი ჰქონდა ჩემი მარწმუნებლის კუთვნილი მრავალი ათასი ბიტკოინის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებას. სხვა გარემოება დღევანდელი დაკითხვიდან გამომდინარე არ გამოკვეთილა. ფაქტი შემიძლია დავადასტურო. თქვენც იცით, როდის დაიწყო სასამართლო სხდომა, თავდაპირველად რამდენიმე შუამდგომლობის განხილვა იყო, რაც ნახევარი საათი გაგრძელდა, 1 საათზე ცოტა მეტი დასჭირდა ჩემი მარწმუნებლის, ბიძინა ივანიშვილის დაკითხვას. ამ დროის გასვლის შემდეგ, არც ბრალდებას და არც დაცვის მხარეს, როგორც პატივცემულ წარმომადგენლებს და პატივცემულ გიორგი ბაჩიაშვილს მეტი კითხვა არ ჰქონიათ. ეს, ჩემი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ საკითხი ძალიან მარტივადაა, ყველა გარემოებით, მტკიცებულებებით, ჩვენებებით დასტურდება, რომ ინვესტორი ამ საქმეში ჩემი მარწმუნებელია. როდესაც არ გაქვს ფული, არ გაქვს უზრუნველყოფა და საკუთარ თავზე არ იღებ ინვესტიციიდან გამომდინარე რისკებს, ვერავინ ვერ დაგიძახებს ინვესტორს**“, – განაცხადა წიქვაძემ.

**ცნობისთვის,** გიორგი ბაჩიაშვილისთვის წარდგენილი ბრალდება 2017 წელს განხორციელებულ ქმედებას ეხება. კერძოდ, პროკურატურის ინფორმაციით, ბაჩიაშვილმა ინვესტორს ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული სრული მოგების სანაცვლოდ მხოლოდ 536 900 აშშ დოლარი გადასცა, ხოლო დარჩენილი ინვესტორის კუთვნილი 8986 ოდენობის ბიტკოინი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა, რომლის ღირებულებაც მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების პერიოდში 43 მილიონამდე აშშ დოლარს შეადგენდა. მას აღკვეთის ღონისძიების სახით 2 500 000-ლარიანი გირაო აქვს შეფარდებული, ასევე დაწესებული აქვს დამატებითი შემზღუდავი ღონისძიებები. აღნიშნული ქმედება 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გიორგი ბაჩიაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს.



# კახა კალაძე: მხოლოდ ჩვენ ვსაუბრობდით, რომ უცხოეთიდან შემოსული თანხები ხმარდებოდა რევოლუციურ სცენარს — რა გაირკვა? ყოფილა თუ არა მართალი?

**თბილისის** მერი კახა კალაძე მიიჩნევს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები კვლავაც სხვის დავალებებს ასრულებენ.

ამის შესახებ მან პარტია „ლელოს“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის მიერ გაკეთებული იმ განცხადების შეფასებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „ქართულ ოცნებაზე“ ზეწოლა უნდა განახორციელოს.

კახა კალაძის თქმით, ე.წ. „დიფ სთეითი“ მსოფლიოსთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს, რომელზეც თავად აშშ-ის პრეზიდენტი და მაღალი თანამდებობის პირები საუბრობდნენ.

**„არაფერი სიახლე არაა. ვიცით, რომ ეს ადამიანები არიან ჩვეულებრივი აგენტები. „დიფ სთეითი“ უდიდესი პრობლემაა მთელი მსოფლიოსთვის და ამაზე თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მაღალი თანამდებობის პირები საუბრობდნენ. ის ჯერაც არ დამარცხებულა, მას ძალიან ღრმა ფესვები აქვს. ის აკაცუკები, რომელთაც დღეს აქ პოლიტიკოსების სახით ვხედავთ, ჩვეულებრივი, უსამშობლო აგენტები არიან. ამ რადიკალებს განეკუთვნება ბატონი ხაზარაძეც, დაბეზღებით რომ არის ყოველდღიურად მისი განცხადებები სავსე. ესენი ჩვენს ქვეყანას არ ემსახურებიან, ისინი ასრულებენ დავალებებს. ჩვენ, „ქართული ოცნება“, ვსაუბრობდით იმაზე, რომ უცხოეთიდან შემოსული თანხები ხმარდებოდა რევოლუციურ სცენარს, პოლარიზაციას, ექსტრემისტული ორგანიზაციების დაფინანსებას და დღეს რა გაირკვა? ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, ყოფილა თუ არა მართალი? რამდენიმე წლის წინ პირდაპირ კაბინეტებში გვაშანტაჟებდნენ, რომ ქვეყანა ჩართულიყო ომში, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა ჩვენ გამოვდივართ და ვმოქმედებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე,** – განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) დაკავშირებით დასმულ შეკითხვას, დედაქალაქის მერი პასუხობს, რომ ქვეყნის ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს.

საქართველოს რესპუბლიკა

# რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**ბრიტანულ** ცნობილ გაზეთ **„ინდეფენდენთში“ (The Independent)** რუბრიკით „მოგზაურობა“ გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„ევროპისათვის ჯერ კიდევ უცნობი გასტრონომიული სამოთხე, სადაც ღვინო და საჭმელი ძალზე იაფია“** (ავტორი – მარიანა ჰანტი).

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

THE INDEPENDENT

## ევროპისთვის ჯერ კიდევ უცნობი გასტრონომიული სამოთხე, სადაც ღვინო და საჭმელი ძალზე იაფია ლოპოტას ტბასთან



**ჩვენ იმ საღამოს ათამდე სადღეგრძელო დავლიეთ. წითელი ღვინო ძალიან იოლად და მსუბუქად ისმებოდა და მიუხედავად იმისა, რომ არ მშიოდა, ხაჭაპურის ბოლო ნაჭერი იმდენად მაცდუნებლად მოჩანდა, რომ ვერ მოვითმინე... ვუყურებდი სუფრას და ვფიქრობდი: რას მიქვია საფრანგეთი... აი, სწორედ აქ, საქართველოში იციან მეღვინეობა და ღვინის კულტურა.**

ღვინო, რომელსაც ვსვამდით, „ქართული საფერავი“ იყო, რომელიც ფრანგულ „ბორდოს“ ჰგავს. ვაზის ჯიში „საფერავი“ საქართველოში ვენახის მეფეა – ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს, იყოს მსოფლიოში მეღვინეობის ყველაზე უძველესი კულტურის ცენტრი.

მე ვიყავი სახალხო მომღერლის, ფერმერ სიმონ რუაძის ოჯახში, რომელიც განთქმულია მთელ კახეთში – საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ქართული ღვინის 80% მზადდება.

აქაური ღვინის ხარისხი მაღალია, ფასი კი ძალიან დაბალი – ბევრ ადგილობრივ რესტორანში ერთი ბოთლი უმაღლესი ხარისხის ღვინო სულ რაღაც 2 გირვანქა სტერლინგი ღირს. ღვინო საქართველოში ეროვნული სიამაყის სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც იუნესკოს მიერ არის აღიარებული.

ქართული ღვინის მოხმარების წესებს მეტ-ნაკლებად რომ დაეუფლო, ამისათვის აუცილებელია, მონაწილეობდე ტრადიციულ სუფრაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია გემრიელი ეროვნული საჭმელები, სასმელები და სიმღერები. ქართული ტრადიციული სუფრა („ქეიფი“) შეიძლება მთელი დღე გაგრძელდეს (ზოგჯერ მთელი ღამის განმავლობაშიც!) და მას თან ახლავს მრავალრიცხოვანი სადღეგრძელოები. სუფრას უძღვება სპეციალურად დანიშნული თამადა ანუ „სადღეგრძელოთმცოდნე“.

სიმონი გულუხვად გვიმასპინძლდება ტრადიციული ქართული სუფრით, რომლის ორგანიზება ტურისტული ოპერატორის **Regent Holidays**-ის ხელშეწყობით განხორციელდა (მეც სწორედ მისი დახმარებით ვმოგზაურობ). სიმონის შვილი და შვილიშვილი სუფრას რომ შლიდნენ, გაკვირვებული დავრჩი ეროვნული კერძების სიუხვით – ისინი უწყვეტად, საჭმელების ერთგვარი აღლუმის სახით, ეზიდებოდნენ ათასნაირ ქართულ ნუგბარს: ხაჭაპურებს, ბადრიჯნისგან მომზადებულ კერძებს (ნიგვზით), შემწვარ გოჭს და, რა თქმა უნდა, ბევრ ღვინოს. საჭმელთა ნაკადი დროებით მხოლოდ სიმონის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების დროს ჩერდებოდა.

თამადის მიერ თქმული სადღეგრძელოები მრავალი ელემენტისაგან შედგება – დაწყებული „შევსვათ უფლისა და სამშობლოს დიდებისათვის“ და დამთავრებული გრძელი ისტორიებით ბავშვობაზე, ხუმრობებით ვლადიმერ პუტინზე და სიმღერა-ცეკვებით - თვითონ თამადისა და მისი შვილიშვილის შესრულებით. ეს არის სრულიად უნიკალური გამოცდილება, რომელიც არ ჰგავს არცერთ მათგანს, რომლებიც მე მსოფლიოს მეღვინეობის რეგიონებში მინახავს.

და რაც ყველაზე სასიამოვნოა, თქვენ შეგიძლიათ ეს ყველაფერი მალე თვითონვე ნახოთ და გაიზიაროთ – რამდენიმე ავიაკომპანია გეგმავს დიდი ბრიტანეთიდან საქართველოსკენ რეგულარული რეისების გახსნას. 2025 წელს **British Airways** (30 მარტიდან) და **EasyJet** (პირველი აპრილიდან), ლონდონიდან თბილისში.

საქართველოში სამოგზაუროდ ყველაზე კარგი დრო შემოდგომაა. მე კავკასიის ამ ლამაზ ქვეყანაში სექტემბრის ბოლოს ვიყავი, როცა ხეები დახუნძლული იყო ნაყოფით, ტემპერატურა კი 22 გრადუსს აღემატებოდა. და რაც მთავარია, ეს ის დროა, როცა საქართველოში ეროვნული მეღვინეობის კულტურის უნიკალური ასპექტი ვლინდება – რთველი, ყურძნის მოსავლის აღების დღესასწაული. რთველი კახეთში სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში იწყება, როცა ოჯახის წევრები, ნათესაობა ერთად იკრიბება ვენახში ყურძნის საკრეფად, რომლისგანაც ღვინოს ამზადებენ. რთველს თან ახლავს სიმღერები, ცეკვები და სუფრა-ქეიფი.

საკურორტო სპა-სასტუმრო და მარანი „ლოპოტას ტბა“, რომელიც კახეთის რეგიონში მდებარეობს, ყოველწლიურად ატარებს რთვლის ფესტივალებს, რომელშიც მონაწილეობა ყველა სტუმარს შეუძლია. სასტუმრო-რესტორნის კომპლექსი შედგება ტბის გარშემო მდგარი 16 ვილისაგან, რომელთაგან თითოეულში რამდენიმე ნომერია. დაკლაკნილ ბილიკებს, ბაღ-ბოსტნებთან ახლოს (სადაც ერთი კაცი უშველებელ კვახებს აგროვებდა), ღვინის მარანის ქვით აგებულ დარბაზთან მივყავართ...

იხილეთ მე-11 გვ.

# „რა არის სამართლიანობა?“

## პირველად ქუთაისის საბავშვო უნივერსიტეტში...



**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში, პირველად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლების მოსწავლეებისთვის საჯარო ლექცია გაიმართა. ლექცია თემაზე – „რა არის სამართლიანობა?“– KIU-ს რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ წაიკითხა.**

შემეცნებით საჯარო ლექციას სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლების მე-9-მე-12 კლასების 500-მდე მოსწავლე დაესწრო. მონაწილეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის სამიზნე აუდიტორია გაფართოვდა. აქამდე **KIU**-ს საბავშვო უნივერსიტეტში ჩართვა მხოლოდ იმერეთის რეგიონის სკოლების მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეებისთვის იყო შესაძლებელი, ახლა კი საბავშვო უნივერსიტეტის საჯარო ლექციების მოსმენა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სკოლების მოსწავლეებსაც შეუძლიათ. პროექტი ეტაპობრივად კიდევ უფრო გაფართოვდება და საქართველოს ყველა რეგიონის სკოლების მოსწავლეებისთვის გახდება ხელმისაწვდომი.

მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს საუნივერსიტეტო ქალაქი, გაეცნენ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ეკოსისტემას, კომფორტულ და სრულად აღჭურვილ საცხოვრებელ სივრცეს, კაფეტერიას, ბიბლიოთეკასა და საერთო სამუშაო სივრცეებს, რაც მნიშვნელოვანია მაღალი დონის სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების ჩატარებისათვის.

ღონისძიებაში მონაწილეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ვერავამ და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

**„KIU**-ს საბავშვო უნივერსიტეტი“ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის, სწავლის სიყვარულის გაღვივებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების ადრეული ასაკიდან გაცნობის ხელშეწყობას. ასევე, კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობისა და სოციალური უნარების განვითარებას და კარიერული ჰორიზონტის გაფართოებას.

სალექციო კურსებს კითხულობენ როგორც **KIU**-ს პროფესორ-მასწავლებლები, ისე მოწვეული ლექტორები.

აღსანიშნავია, რომ **KIU**-ს საბავშვო უნივერსიტეტი ყოველ ჯერზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სკოლის მოსწავლეებში. პროექტის ფარგლებში, უკვე ჩატარდა არაერთი საჯარო ლექცია სხვადასხვა თემაზე. ახალგაზრდები ყოველთვის კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციების მიმართ.

# ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკა



**კანონში აქამდე არსებული ჩანაწერის მიხედვითაც ის იყო და არის საქართველოში საბიბლიოთეკო პოლიტიკის გამტარებელი კულტურის სამინისტროსთან ერთად, – ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ სამართლებრივი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციაში.**

„საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას 1990 წელს ეწოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულებით ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს პარლამენტის დაქვემდებარებაში გადავიდა და ეწოდა „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“. 2000 წლიდან ბიბლიოთეკა ილია ჭავჭავაძის სახელობისაა.

2024 წლის მოწვევის საქართველოს პარლამენტში მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად შეიცვლება ეროვნული ბიბლიოთეკის სამართლებრივი სტატუსი და ის გახდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ-ის), რომელზეც გავრცელდება „საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონი“ – ანუ ის მოხვდება იმ სსიპ-ების ჩამონათვალში, რომელზეც ვრცელდება ამ კანონის მოქმედება. ეს აღნიშნულია „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შესახებ“ კანონშიც.

საკანონმდებლო ცვლილებებით დაზუსტებულია ისიც, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას უნარჩუნდება ილია ჭავჭავაძის სახელი, თანამშრომლებს შეუნარჩუნდებათ საჯარო მოხელის სტატუსი, ნარჩუნდება ასევე საშტატო განრიგი, ბიბლიოთეკის მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი. არ იგეგმება რეორგანიზაცია და შტატების შემცირება. გაგრძელდება ეროვნული ბიბლიოთეკის ყველა მიმდინარე პროექტი.

ცვლილება ეხება მხოლოდ იმ ნაწილს, სადაც განისაზღვრება დაწესებულება, რომელსაც დაექვემდებარება ეროვნული ბიბლიოთეკა მომავალში. აქამდე ეს იყო საქართველოს პარლამენტი, მიმდინარე წლის მარტიდან კი ეს იქნება საქართველოს კულტურის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორია 1846 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც თბილისში დაარსდა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა“. საჯარო ბიბლიოთეკის გახსნით ასრულდა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ოცნება, თბილისში შექმნილიყო ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა მოსახლეობის ყველა ფენისთვის“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

# თხრობის სტილი, თხრობის მანერა




**ახლახან გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა ენათმეცნიერ გიორგი გოგოლაშვილისა და მწერალ თამაზ ხმალაძის წიგნი „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ (დიალოგური ნოველები)... წიგნი ორიგინალურია ფორმითაც და შინაარსითაც:**

**მკითხველი (გ. გოგოლაშვილი) და მწერალი (თ. ხმალაძე) საუბრობენ თამაზ ხმალაძის შემოქმედებიდან აღძრული საკითხების შესახებ. „მკითხველის“მიზანი არის, ღრმად ჩაგვახედოს მწერლის შემოქმედებით სამყაროში; მწერალი ცდილობს, განმარტოს, დააკმაყოფილოს „მკითხველის“ ინტერესი... საუბარი გასცდება ხოლმე მსჯელობის საგნად ქცეული მწერლის შემოქმედებას და პრობლემები ფართო თვალთახედვით განიხილება...**

**წიგნში 14 „დიალოგური ნოველა“ არის დაბეჭდილი... რედაქტორის, მწერალ როსტომ ჩხეიძის, საინტერესო და მრავლისმთქმელი წინასიტყვა კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის წიგნს: გვიდასტურებს იმ აზრს, რომ „სიღრმესთან შეზავებული სიმახვილით, სიცინცხალითა და დინამიკურობით, თუ როგორ შეიძლება ერთი შეხედვით მოსაწყენი თემებიც კი ბოლომდე ჩაკირკიტებით – სახალისო საკითხავად იქცეს... ამიტომაც „პერსონაჟს სახელი ამშვენებს“ ასერიგად დაამშვენებდნენ ჩვენი ლიტერატურის მდინარებას“.**

**საჭაშნიკოდ დღეს გთავაზობთ ერთ-ერთ „დიალოგურ ნოველას“, რომელიც ჩვენს გემოვნებიან მკითხველს უთუოდ დააინტერესებს!**

**მთ. რედაქტორი**



**გიორგი გოგოლაშვილი** – თამაზ ხმალაძის მხატვრული ენის გასააზრებლად, შესაფასებლად ორ პროფესიონალს დავიმოწმებ: მწერალ ჭ ა ბ უ ა ა მ ი რ ე ჯ ი ბ ს ა და ენათმეცნიერ ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავისი შვიდტომეული აჩუქა თამაზს ასეთი მიძღვნით: „თამაზ ხმალაძეს, მშვენიერ მწერალს, ბრწყინვალე მამულიშვილს და **ქართული სიტყვიერების ხმალამოღებულ რაინდს**“ (ხაზგასმა ჩემია – **გ. გ.**)...

ბესარიონ ჯორბენაძის ერთ ფრაზას მოვიხმობ – მისი აზრით, თამაზის შემოქმედება ეს არის ჭეშმარიტად **„ბაჯაღლო ოქროდ დაუნჯებული“ „მზით ნაფიცხი ქართული სიტყვა“** (მცირე ფრაგმენტი ვრცელი წერილიდან).

ჭაბუა ამირეჯიბთან სადღეგრძელოს ტიპის ზოგადი შეფასებაა... ბესარიონ ჯორბენაძის განხილვის თემა ძირითადად მწერლის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაა. ამ საკითხს ჩვენ სხვა ნოველაში დავუბრუნდებით. აქ ზოგადი შთაბეჭდილება შევიქმნათ მწერალზე და განვაგრძოთ საუბარი სტილზე...

თემა: **თხრობის სტილი, თხრობის ვარიაციები**... როგორია ამ თვალსაზრისით თამაზ ხმალაძის პროზა, მისი პოზიცია...

**თამაზ ხმალაძე** – ჯერ მადლობა მათქმევინე, გიორგი. გულწრფელად ვიტყვი: ღირდა ცხოვრება და მწერლური საქმიანობა თუნდაც ამ ორი დიდი პიროვნების ამგვარ შეფასებად.

**გ. გ.** – გეთანხმები, თამაზ... სანამ უშუალოდ შენს შემოქმედებაზე დავიწყებთ საუბარს, კერძოდ – რა არის სტილი ზოგადად, კერძოდ ენობრივი სტილი.

**თ. ხ.** – ბუფონს უთქვამს, „სტილი ადამიანიაო“. დაეთანხმება ბუფონს ოთარ ჩხეიძე და დააზუსტებს: „სტილი თვისებაა ადამიანური, სტილი რო ადამიანური მთლიანობაა და სამწერლო სტილიც, თუ ადამიანი მწერლობას მოეკიდება, უფრო აქედან მომდინარეობს“...

**გ. გ.** – სტილთან დაკავშირებით საგულისხმოდ მიმაჩნია მიხეილ ჯავახიშვილის ეს ჩანაწერი: „ამბობენ, რობაქიძე დიდი სტილისტიაო, და ამავე დროს სტენდალის ნათქვამსაც იზიარებენ: „საუკეთესო სტილი ის არის, რომელსაც ვერ ამჩნევთო.“ რობაქიძის სტილი კი მკითხველს თევზის ძვალივით აქვს სულში გახირებული“...

**თ. ხ.** – სხვათაშორის გრიგოლ რობაქიძის სტილი გაუკრიტიკებია იოსებ გრიშაშვილსაც: „მე ვამტკიცებ, რომ გრიგოლ რობაქიძემ ქართული ენა და ქართული ენის ბუნება სრულიად არ იცისო“... უპასუხია რობაქიძეს: „რა გაეგება მას (გრიშაშვილს)... ჩემი რიტმული ქართულის, რომლითაც გავშალე ეს ჯადოსნური ქმნილებაო!“ – საინტერესო თემაა სტილი...

**გ. გ.** – ვაჟა-ფშაველა შეგვაგონებს, მწერლის ნიჭიერება მისი გარეგანი ნიჭიერების, ენობრივი სტილის გამოვლენააო...

**თ. ხ.** – და დავაგვირგვინოთ მიხეილ ჯავახიშვილის სიბრძნით: ენა მწერლის ბალავარია...

**გ. გ.** – აი, ამ ზოგადი პოზიციიდან ვიწყებთ საუბარს!... მწერლის ენობრივი სტილი მრავალგვარი ასპექტით გამოვლინდება. ჩვენ ზოგიერთზე გავამახვილებთ ყურადღებას...

* * *

**გ. გ.** – გავიმეორებ: მე, როგორც მკითხველს, მაქვს პრეტენზია, რომ სხვაზე უკეთ ვიცნობ თამაზ ხმალაძის შემოქმედებას, ამიტომ გავკადნიერდები და ვუმეგზურებ სხვა მკითხველს შენს მხატვრულ სამყაროში... ალაგ-ალაგ ზოგი რაიმეს გამეორება მოგვიწევს... მოგვიტევოს ჩვენმა მკითხველმა...

პირველი „ნოველის“ თემად თხრობის სტილი, თხრობის მანერა შევარჩიეთ. თამაზ, საინტერესო ფაქტია, შენი ნაწარმოების პერსონაჟები საუბრობენ თვითონ ერთმანეთის „თხრობის მანერაზე“, „თხრობის სტილზე“... ნიშნავს ეს იმას, რომ მეტყველების ეს მხარე სხვაზე მეტად ფასეულია შენთვის?

**თ. ხ.** – სხვაზე მეტადო რა გითხრა, მაგრამ დიდად ფასეული რომ არის, უეჭველია.

**გ. გ.** – რადგან ასეა, ორიოდე მაგალითს დავიმოწმებ:

კიაზო საუბრობს შიოს შესახებ („ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“):

„თხრობის მშვენიერი მანერა ჰქონდა – ხატოვანი, ცოცხალი – გეგონებოდა, გარდასულები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავს. ჩავრთავდი მაგნიტაფონს, მეც იქვე ჩამოვჯდებოდი და სიამოვნებით ვუგდებდი ყურს...“ შინაარსობრივად არ ეთანხმება რაღაც-რაღაცებში კიაზო შიოს, მაგრამ ეს არააო მთავარი: „თავის მონაკვეთს“ ასე ამთავრებს კიაზო:

„ხოლო თხრობის მანერას, რაც შეეხება, მართლაც მშვენიერი ჰქონდა – ხატოვანი, ცოცხალი. გეგონებოდა, გარდასულები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავსო. ჩემთვის ამ მომენტში ეს იყო მთავარი“...

ფრაგმენტი რომანიდან („დროის მკვლელები“): „მომხიბლავი მეტყველება, დახვეწილი მოძრაობები, შესანიშნავი მიმოხვრა“ – აღტაცებული შეჰყურებდა დემნა მეგობარს...“

**თ. ხ.** – ეს მინდოდა ხაზგასმით მეთქვა კიაზოს რეპლიკაზე: იმდენად დამაჯერებელი სტილი აქვს საუბრისა შიოს, თითქოს „გარდაცვლილები თვითონ გვიყვებიან თავიანთ ამბავსო“. თუ გვექნება შესაძლებლობა „დროის“ შესახებ საუბრისა, გავიხსენებ ამასაც... ამის მეშვეობით შემოდიან ისინი (გარდაცვლილები) და **შიო თავისი თხრობის სტილით** ახერხებს ამ შთაბეჭდილების შექმნას...

**გ. გ.** – ფაქტობრივ ამით ერთი პერსონაჟი (კიაზო) გეხმარება მეორის (შიოს) დახასიათებაში. მკითხველისათვის ეს დამატებითი არგუმენტია – მწერალი პოზიციას განიმტკიცებს, მარტო მე კი არ ვფიქრობ ასეო... ის პერსონაჟიც ჩემი აზრისააო...

**თ. ხ.** – როცა ერთი პერსონაჟი ახასიათებს მეორის თხრობის სტილს, მე რთული ამოცანის წინაშე ვდგები: უნდა ვაჩვენო, რომ ის მართლა განსხვავებულად, გამორჩეულად ლაპარაკობს; მე მას სხვასავით ჩვეულებრივად ვეღარ ვასაუბრებ... ვეღარ ვამეტყველებ ისე, როგორც სხვას. იმის მეტყველება უნდა შეეფარდებოდეს იმ შეფასებას, პერსონაჟმა რომ წარმოადგინა... ასე რომ, ამგვარი ჩარევით...

**გ. გ.** – შენ ამბობ, რომ ამგვარი სურათის შემოტანით მწერალი ირთულებს ამოცანას...

**თ. ხ.** – ამას თუ გართულებას ვუწოდებთ, მაშინ ეს აუცილებელი გართულებაა. ისე, როცა იმაზე ვფიქრობ, პერსონაჟმა კარგი ქართულით ისაუბროს, ესეც დედაენის მსახურება მგონია...

**გ. გ.** – მე კი არ მგონია, მჯერა, რომ ეს დედაენის ღირსეული მსახურებაა...

**თ. ხ.** – დამახინჯებული ქართულით თუ ასაუბრებ პერსონაჟს, ესეც დახასიათებაა მისი... თუ მხატვრული საჭიროება მოითხოვს, ასეც უნდა გააკეთო...

**გ. გ.** – შენ ჯაყოსნაირ ქართულზე ამბობ? აქ გამიზნულად ხდება დამახინჯება... ჩვენ მოგვიწევს პერსონაჟთა მეტყველების პრინციპებზე საუბარი... ისე კი, თუ მწერალი წერის დროს იმაზე ფიქრობს, როგორ მეტყველებენ მისი პერსონაჟები, როგორ ამეტყველოს ისინი, უკვე ღირსეული მწერალია (ასე ვფიქრობ მე...)...

**თ. ხ.** – მეც ასე ვფიქრობ... მაგრამ მარტო ფიქრი არ შველის... თუ ცოტათი მაინც ვახერხებ, უკვე დიდი საქმეა...

ამის თაობაზე საუბარიც კი ზედმეტი მეჩვენება, აი, რატომ: ადამიანისა და ცხოველის მთავარი განმასხვავებელი ის არის, რომ ადამიანი მეტყველია, ცხოველი – პირუტყვი, მეტყველება ყველას შეგვიძლია, მაგრამ თვითონ ადამიანებს ის განგვასხვავებს ერთმანეთისაგან, როგორ ვმეტყველებთ, როგორი ქართული ვიცით თითოეულმა ჩვენგანმა, მართლმეტყველება როგორი გვაქვს, მხატვრული მეტყველება – ეს გამოგვარჩევს ერთმანეთისაგან...

**გ. გ.** – ყოფილა შემთხვევა, გვითქვამს, ისეთი ლაპარაკი იცის, დამსვი და მასმენინეო...

**თ. ხ.** – პერსონაჟებიც, რა თქმა უნდა, ამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან,... ე. ი. ერთ-ერთი მახასიათებელი პერსონაჟისა უნდა იყოს მისი საუბარი, თხრობის მანერა, თხრობის კულტურა...

* * *

**გ. გ.** – თხრობის მანერა, თხრობის სტილი – მწერლის სტილის მთავარი ასპექტი მგონია...

როცა ბასილ მელიქიშვილის ენობრივი სტილის საკითხებზე ვმუშაობდი, ვიფიქრე რომ რაღაცას მივაგენი-მეთქი... ვცდილობდი ამომეხსნა მწერლის სტილის ის თავისებურება, რასაც თხრობის სტილს უწოდებენ; ბასილ მელიქიშვილის სტილის მთავარ მახასიათებლად სწორედ ეს მივიჩნიე, რასაც პირობითად „მთხრობელის სივრციდან სივრცეში მიმოსვლა და გრამატიკულ პირთა მონაცვლეობა ვუწოდეთ...“ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებიდან მახსოვდა მსგავსი ფაქტები... შენ ვაჟა-ფშაველაზე მიმითითე. ვაჟას პოემებიდან („სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“) ის ეპიზოდები გამახსენე, მთხრობელი (მწერალი) რომ შედის სამოქმედო სივრცეში, იქცევა პერსონაჟად (I პირად) და დიალოგს უმართავს ჯერ ჯოყოლას (XI თავი) და მერე აღაზას (XIII თავი)... ასევე „ბახტრიონის“ XVI თავში – გამარჯვებული ლაშქრისა და მთხრობელის (მწერლის) დიალოგი... არადა, თითქოს კარგად ვიცნობდი ამ პოემებს...

**თ. ხ.** – ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ კაცი...

**გ. გ.** – შენ რომ ეს ფაქტები შეამჩნიე და გახსოვდა, არც ეს მგონია შემთხვევითი. ეტყობა, ის პრობლემა შინაგანად შენც გაფიქრებდა...

**თ. ხ.** – შემთხვევითი არაა, რა თქმა უნდა; ასეთი რამ შემთხვევით არა ხდება...

**გ. გ.** – მე მგონია, ამ ფაქტს რომ ყურადღება მიაქციე, შენ თხრობის სტილის ძიების პროცესში იყავი მაშინ...

**თ. ხ.** – ჩემი ყურადღება იცით რამ მიიქცია? რთულ სიტუაციაში ჩავარდნილმა მწერალმა როგორ მოძებნა გამოსავალი. გავიხსენოთ: ჯოყოლა და აღაზა თემიდან მოკვეთეს; მათთან ურთიერთობა ყველას ეკრძალება. ხევსურებმა გამოილაშქრეს ქისტეთში ზვიადაურის ძვლების წასაღებად... შემოესივნენ ჯარეგას. ვიღაცამ უნდა აცნობოს ჯოყოლას და მოუწოდოს, შეებას ხევსურებს. ჯოყოლას მხოლოდ ორი გულშემატკივარი ჰყავს შერჩენილი – აღაზა და ავტორი...

ვთქვათ და აღაზამ მოუწოდა ჯოყოლას (დავანებოთ თავი „პრინციპს“ – „ქალი ომსა რაგვარ მაწვევს“...); მერე მარტო დარჩენილ აღაზას ვინ თანაუგრძნობს? და გენიოსი ვაჟა აქ იპოვის დიდოსტატურ გამოსავალს: თავად „შეაბიჯებს“ სამოქმედო სივრცეში – ჯერ ჯოყოლას გამოაფხიზლებს („კარში გამოდი, ჯოყოლავ“) და მერე აღაზას მიმართავს („უცხო კაცისა მოზარევ“...)... მსგავსი ვითარებაა „ბახტრიონშიაც“... ავტორ-მთხრობელი ფშავის კართან ეგებება გამარჯვებულ ჯარს და გაუმართავს დიალოგს...

**გ. გ.** – ამგვარ სტილურ ხერხს (საინტერესოდ იყენებდა მიხეილ ჯავახიშვილიც, რომ აღარა ვთქვა ბასილ მელიქიშვილზე)...

**თ. ხ.** – ამ სტილური ხერხის შემჩნევა და შემდეგ გამოყენება ღვთის წყალობა იყო...

**გ. გ.** – ამ კუთხით გადავხედე შენს მოთხრობებსა და რომანს და საინტერესო სურათი დაიხატა. მე ფაქტს მივანიშნებ: მწერალი თამაზ ხმალაძე თხრობის სხვადასხვა ვარიაციას გამოიყენებს. ჩვეულებრივია ტრადიციული „მესამე პირში დაწერილი“ ნაწარმოებები („მოლოდინი“, „დაცლილი ჭურჭელი“...) ასევე „პირველ პირში დაწერილი ნაწარმოებები“ („უკანასკნელი აღმართისკენ“, „სადღეგრძელო“...)... და გვაქვს ასე ვთქვათ, „არატრადიციული“ მანერით დაწერილი ნაწარმოებები. თუნდაც მოთხრობა „სისხლი“...

**თ. ხ.** – ეს ახალგაზრდობის დროინდელი მოთხრობაა...

**გ. გ.** – ალბათ, სიახლის სურვილი, თხრობის ვარიაციების ძიება – ე. წ. შერეული ვარიანტი...

**თ. ხ.** – აქ თავისებური ის არის, რომ იცვლება მთხრობელი. ავტორ-მთხრობელი და ორი პერსონაჟი – „მე და ჩემი მასწავლებელი“, რომ იტყვის ბიჭი...

**გ. გ.** – რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან მოთხრობიდან, რომ ვნახოთ, როგორია მწერლის სურვილი ორიგინალური თხრობის სტილის შექმნისა:

თხრობას იწყებს ავტორ-მთხრობელი და ჩვეულებრივ შეუმჩნევლად ყოველგვარი პირობითი ნიშნების გარეშე (ტირე, ბრჭყალები) საუბარს აგრძელებს ბიჭი... პირველი აბზაცი ავტორ-მთხრობელისაა, მეორე აბზაცი – ბიჭისა:

**„გაზაფხული იდგა ოთხსავკუთხივ, იმისი სუნთქვა იგრძნობოდა ყველგან, იმისი ხელი ეტყობოდა ატალახებული საურმე გზის დაბლა აყეფებულ, ქეჩოაშლილ მდინარეს,**

**პირდაპირ აყუდებულ წაბლით შემოსილ ქედებსაც და ქედებქვეშ თითო ნაბდის გაშლაზე დამუშავებულ საყანეებსაც. გრძელი ზამთრისაგან თავგაბეზრებული პატარა სოფელი რაღაც ახლისა და შეუცნობის მომლოდინე ქალიშვილივით ილამაზებდა თავს, ყვავილებით ირთვებოდა, ყვავილებში მალავდა ხინჯსა და ზადს. მზე მზეობდა, ბუნება კეკლუცობდა, ღმერთი კიდევ ერთხელ გვიჩვენებდა ედემის იმიტაციას დედამიწაზე და გვახსენებდა, რა განძი დავკარგეთ ჩვენი დაუფიქრებელი წინაპრის მეოხებით, მაგრამ იმას არ ითვალისწინებდა, რომ ამ სიმშვენიერეში არავის ეცლებოდა წარსულზე საფიქრალ-სადარდელად, უკან საყურებლად.**

**იმ დღეს მე და ჩემი ქიმიის მასწავლებელი ერთად ვბრუნდებოდით მეზობელი სოფლის სკოლიდან. გული წინ გამირბოდა, ფეხებს ვერ ვიოკებდი – მიჭირდა მოხუცი კაცის ნაბიჯით მევლო მეცხრეკლასელ ბიჭს. ისიც ჩემს ჯიბრზე იქცეოდა, ხვნეშა-ხვნეშით, სვენებ-სვენებით მომდევდა გვერდით, გაჩერდებოდა, ისეთი ინტერესით ჩააცქერდებოდა ალაფებულ შარას, თითქოს მთელი სიცოცხლე ამ გზაზე სიარულში არ გაელიოს. სოფლის კართან ერთხელ კიდევ შედგა, ერთხელ კიდევ ჩააკვირდა საკუთარ ფეხებს და როცა იმედი გადამიწყდა, გათავდა, ეხლა კი აღარ დააყენებს-მეთქი წამოსვლას საშველს, მომიბრუნდა და ამდენი ხნის მანძილზე პირველად ამოიღო ხმა.“**

და ასე ბუნებრივად, თითქოსდა შეუმჩნევლად, გადაეცემა მთხრობელის „ესტაფეტა“ ერთიდან მეორეს და მორიგეობით თხრობენ ავტორი, ბიჭი, მასწავლებელი... მერე „მოქმედ პირად“ (მეორე პირად) შემოდის „წარმოსახვითი“ პერსონაჟი – „თორღვა“ და ა. შ. ...

სწორად წარმოვადგინე სქემა?

**თ. ხ.** – ჰო, ასეა...

**გ. გ.** – თამაზ, რაიმე კომენტარს ხომ არ გააკეთებ? დღეს რომ წერდე ამ მოთხრობას, დღესაც ასე დაწერდი? რამ განსაზღვრა თხრობის ასეთი სტილი.

**თ. ხ.** – სათქმელმა, ჩემო გიორგი, სათქმელმა; იმან, „რაიც შთაგონებით გვწყალობს“ (ა. კალანდაძე); „ის“ გეხმარება, რომელი ნაწარმოები როგორ უნდა დაიწეროს, როგორ აიგოს, თხრობის რა ვარიაცია უნდა შეესაბამოს...

მერე ისევ ავტორ-მთხრობელი, რომელიც არ არის პერსონაჟი... ისევ ბიჭი... ისევ ავტორ-მთხრობელი და ბოლოს, როგორც ითქვა, მეორე პირი „თორღვა“...

**გ. გ.** – თხრობის ვარიაციის თვალსაზრისით, კომპოზიციური თუ სტილური თავისებურებები ძალზე საინტერესო მეჩვენება (ორიგინალურად!) მოთხრობაში **„ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა“**...

**თ. ხ.** – გეთანხმები, განსხვავებულობა აშკარად ჩანს სტილისა ამ მოთხრობაში.

**გ. გ.** – ყველა მოთხრობასა და ყველა ვარიანტზე, ცხადია, ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ცოტა ხანი ამ მოთხრობას დავუთმოთ... ეს სხვათაგან საინტერესოდ სხვაობს...

– მოთხრობა დაწერილია პირველ პირში. მაგრამ ეს პირველი პირი არის სხვადასხვა... არა დიალოგის მონაწილე პირები (დიალოგში გაიცვლება პირველ-მეორე პირები), არამედ მთხრობელი იცვლება. თითოეული მთხრობელი ქვესათაურადაა გამოტანილი და თანმიმდევრულად თხრობენ ამბებს (არა ერთსა და იმავეს, არამედ სხვადასხვას. – კიაზო, შიო, ანუსია (შიო, ანუსია, შიო, კიაზო) გაიანე, გიგა, ვანო ჯანიაშვილი (გაიანე), ანუსია, გაიანე), **მ...,** (კიაზო)...

თითოეული მონათხრობი თითქოსდა დამოუკიდებელი ამბავია, თითქოსდა არაა ერთმანეთთან დაკავშირებული, (თუმცა თუ ჩავუფიქრდებით, არ აღმოჩნდება ეგრე...)... თამაზ, აი, ეს სქემა, აი, ეს ვარიაცია თხრობისა რა არის, ნაფიქრი გაქვს, საგანგებოდ შემუშავებული თუ სპონტანურად მოსული?... ესეც იმისგან, „რაიც შთაგონებით გწყალობს?“...

**თ. ხ.** – არა, სპონტანურად არა, ზემოთაც ვთქვი: სათქმელი მოითხოვს ფორმას... სათქმელმა მოითხოვა, რომ პერსონაჟებს თვითონ ესაუბრათ თავსგადახდენილ ამბებზე. აქ ასე გამოდის... აი, მაგალითად, აკუტაგავას „უსიერ ტყეში“ დაახლოებით ასეა აღწერილი: ჰყვებიან ერთ ამბავს პერსონაჟები, ოღონდ ყველა სხვადასხვანაირად ჰყვება.

**გ. გ.** – ამბავი ერთია...

**თ. ხ.** – ამბავი ერთია... აქ ჩემთან წინააღმდეგობა არ არის პერსონაჟებს შორის. დანახული კი არის თითოეული მთხრობელის საკუთარი გადასახედიდან, ამბავი რომ იცვლებოდეს და რაღაც ამდაგვარი, ასე არ არის...

**გ. გ.** – ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, რომ არის გარკვეულად კონსპექტი ვრცელი ტილოსი, ვთქვათ, რომანისა: თვითონ იმ ანუსიას ამბავი, თვითონ იმ გაიანეს და გიგას ამბავი, შიოსა თუ კიაზოსი; თუნდაც იმ ვანო ჯანიაშვილისა... დიდი ტილოა, ეს...

**თ. ხ.** – კონსპექტივით არის არა?

**გ. გ.** – ჰო, კონსპექტივითაა...

**თ. ხ.** – მაგრამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს? რა კარგი იქნებოდა, ეს რომ გაშლილიყოო, ამას ამბობ შენ...

**გ. გ.** – ჰო, ამას ვამბობ და, აი, რატომ: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **შენ ზედმეტად ენდობი მკითხველს...** თუმცა, მოდი, ამ თემაზე სხვაგან (შემდეგ ნოველაში) ვისაუბროთ;

აქ იმას დავამატებდი, რომ ეს მხარე თამაზ ხმალაძის მხატვრული სტილისა ბევრ საფიქრალს აღძრავს მკითხველში. გარდა ზემოხსენებული მოთხრობებისა, მსჯელობაში აქ სხვა ნაწარმოებებიც უნდა შემოვიდეს (თუნდაც მოთხრობები: „გზა“, „ღრჯუ“... და რომანიც – „დროის მკვლელები“)... მიზანი რა შეიძლება იყოს ამგვარი კვლევისა? – თუკი იქნება შესაძლებელი ამ კითხვაზე პასუხის გაცემა: **რა განსაზღვრავს თხრობის სტილის არჩევანს**... ვთქვათ, „ამბავი ჩალამბარასი“ შეიძლებოდა თუ არა იმგვარად დაწერილიყო, „ნასყიდას ვატერლოო“ რომ არის... წინასწარ ვიტყვით არაო, მაგრამ რატომ არა? – ამგვარი კითხვების დასმაც უკვე გარკვეული შედეგია... ალბათ, დადგება ამისი დროც...

# რეზო ამაშუკელმა სამშობლოსთვის მფეთქავი გული წაიღო იქ, მარადისობაში!

## სამი წელი დიდი პოეტის გარდაცვალებიდან

ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ *ხშირად მირეკავდა: – „ამათ გადავყვები, შევაკვდები და არ დავუთმობ სამშობლოს „ქალის ჰორმონებით გაჟღენთილ ბოზანდარას“ (მიხეილ სააკაშვილი), „ნამყენ ჩინელს“ (გიგა ბოკერია), „მანგუსტას“ (თამარ ჩერგოლეიშვილი), „ოფისის დვარნიაშკას“ (ნიკა გვარამია) და მათნაირებსო“. ცოტას გამამხიარულებდა, ცოტათი დამაფიქრებდა და დამემშვიდობებოდა. მეც მიხაროდა, რომ შემომძახებდა ომახიანი ხმით, ხან იუმორით, ხან – ხისტად;*

*ყველას ეგონა რეზო ამაშუკელი მკაცრი და უკომპრომისო. ასეც იყო, როცა საქმე პრინციპულ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ საწერ მაგიდას რომ მიუჯდებოდა, მისი კალამი რბილდებოდა, რაზეც მეტყველებს მისი, შეიძლება ასე ითქვას, არისტოკრატიული და უნაზესი, ყველა ჭეშმარიტი პოეტისათვის დამახასიათებელი სევდიანი და ამ სევდაში გაზავებული, თავგანწირვამდე მისული, მრავალ ბრძოლაში გამოვლილი განცდებით შექმნილი სტრიქონები. ამას ადასტურებს თუნდაც ეს ლექსი, რომელიც გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწერა და ერთგვარად გამოსამშვიდობებელი ბოლო პოეტური სიტყვებია:*

**...მადლობელი ვარ, რაც იყო და ის რაიც დარჩა,**
**აღარ ვაპირებ წუთისოფლის კარებთან ჩანჩალს,**
**მორჩა ნაპირი, იქნებ იგი ნაპირიც არ ჩანს,**
**მაშ, ეს ცხოვრება ხატი იყო თუ მხოლოდ – ხარჭა?!.**

**აივნებიდან გადმოფინეს მაქმანი ბევრი:**
**უცხო მხატვარი ყაისნაღით გაზაფხულს ბაძავს, –**
**მე ვდგავარ მზისკენ გაშვერილი მათხოვრის ხელით**
**და ვითხოვ შველას, ვითხოვ შველას და არა ხანძარს!**





*ამ და სხვა ლექსების კითხვისას თვალწინ წარმოდგება მხატვრულად ფერადი სურათები, რის გამოც რეზო ამაშუკელს ლექსით მხატვარი პოეტიც შეიძლება ვუწოდო.*

*რეზო ამაშუკელი მხატვარი იყო პირდაპირი მნიშვნელობითაც. მის მიერ შესრულებული შესანიშნავი ტილოები, მეტყველი კარიკატურები შემოქმედის უდიდეს მხატვრულ გემოვნებასა და ნიჭზე ლაპარაკობენ. ის იყო კარგი მუსიკოსიც.*

*მაგრამ ის იყო...*

*დღეს რეზო ამაშუკელის შესახებ მოგონებები დაგვრჩა.*

*გვესაუბრება პოეტის ქალიშვილი, ხელოვნებათმცოდნე და პუბლიცისტი* ᲑᲐᲘᲐ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ.

**– ქალბატონო ბაია, საზოგადოებას ახსოვს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში თქვენი უკომპრომისო სტატიები ოპოზიციის წინააღმდეგ... დღეს რატომ აღარ აქტიურობთ?**

– მართალი გითხრათ, დავიღალე. როცა ამდენი დარტყმა მოდის გარედან, ფაქტობრივად, გვხრავენ ჯარიმებით, უაზრო სანქციებით, მთელ ქალაქში ალქაჯთა მსვლელობებითა და რევოლუციის მოწოდებებით, არ გვაძლევენ განვითარების და მშვიდად ცხოვრების საშუალებას. არავის უნდა, რომ გაღიაროს, როგორც უდიდესი კულტურის, წარსულის ქვეყანა, პესიმიზმი შემომიტევს ხოლმე, მაგრამ ვიცი, რომ არ მაქვს ამის უფლება, ჩემ უკან მამის აჩრდილია, წინ კი ჩემი შვილები და შვილიშვილები.

მამა რომ გარდაიცვალა, თითქოს აზრი დაკარგა ყველაფერმა, მაგრამ ლოცვის დროს, როცა მამის ნაჩუქარ ჯვარს ვეხები (ეფერება ყელზე დაკიდებულ ჯვარს. ავტ.), თითქოს ძალას მაძლევსო, არაფრის დათმობას არ ვაპირებ, ამ ჯვრით ვიბრძოლებ, რომ მამის გზა გავაგრძელო, ჩვენი წინაპრების გზაზე ვიარო...

ბევრჯერ მითქვამს მამასთვის, ვისთვის და რისთვის იკლავ თავს, იბრძვი და არ ისვენებ-მეთქი. ამაზე მპასუხობდა ხოლმე: პატრიარქმა დამავალა და გაჩერებას არ ვაპირებ, უნდა ვიბრძოლო ჩემი ქვეყნისთვის და ხალხისთვისო.

უდიდეს პატივს სცემდა პატრიარქს. იგი მის უახლოეს მეგობრად მიაჩნდა. სინამდვილეში, მე არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდნენ, რა დაავალა უწმინდესმა, მაგრამ, რადგან ყველა ტელევიზიისგან დაბლოკილი იყო და არავინ იწვევდა, მთხოვა, ფეისბუქის გვერდი გამიკეთეო; ეს უკვე ნიშნავდა, რომ არ აპირებდა სახლში ჩუმად ჯდომას, როგორც პოეტს, საზოგადო პირს, ისედაც ჰქონდა მოთხოვნილება ხალხთან ურთიერთობის, აკლდა, ეტყობა, ეს და იპოვა, ასე ვთქვათ, გამოსავალი. ფეისბუქზე ვწერდით მის მოსაზრებებს, პოზიციებს...

მამას უყვარდა ადამიანები, მკითხველები, სულ უნდოდა, რომ მათთან კონტაქტი ჰქონოდა. დაკრძალვის დღეს, იანვრის იმ საშინელ ქარში და წვიმაში, მოდიოდნენ უცნობი ადამიანები და მადლობას გვიხდიდნენ – ბატონი რეზოსგან ესა და ეს სიკეთე გვახსოვსო. არც ვიცოდით, ან საიდან უნდა გვცოდნოდა?! ქველმოქმედი კაცი იყო ბუნებით.

**– ბატონი რეზო, შეიძლება, იყო მკაცრი, მაგრამ როგორც მამა, იყო, ალბათ, მგრძნობიარეც...**

– მამა იყო ძალიან ბუტია. ხომ ყველას გვახსოვს, ომახიანი რეზო ამაშუკელი, მოჩხუბარი, მკაცრი, მაგრამ უცებ მოულბებოდა გული, უცებ ხდებოდა ბავშვივით მოკრძალებული, მორიდებული, თითქოს მორცხვი.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორის მოადგილე იყო გარკვეულ ხანს. რედაქტორი გახლდათ არჩილ სულაკაური. ბატონმა არჩილმა იცოდა თქმა: რეზოს თავისი თავი ტირში უკიდია და საკუთარ თავს ესვრისო.

ძალიან ბევრი მტერი გაიჩინა პირდაპირი საუბრით, ლაპარაკობდა იმას, რაც სიმართლედ მიაჩნდა და არ ეშინოდა სიმართლის თქმის, ამბობდა ხოლმე: აბა, ვინმემ რამე მითხრას, მთელი ცხოვრება არც ბიზნესი მაქვს, არც ფული და არც სიმდიდრე დამიგროვებიაო. შეეძლო, ჰქონოდა ბიზნესები, თუნდაც შევარდნაძის დროს, როცა ბევრმა პოეტმა, ასე ვთქვათ, იხეირა, კარგი ცხოვრება მოიწყვეს, მაგრამ რეზოსთვის იყო ერთი რამ: რას იტყვის ხალხი ჩემზე, პოეტზე და კაცზე?!

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-9 ᲒᲕ.

**გახდა რა** დონალდ ტრამპის ნებით აშშ-ის ადმინისტრაციის ერთ-ერთი სტრუქტურის – მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ილონ მასკმა, პრაქტიკულად, განუსაზღვრელი უფლებამოსილება მიიღო, – ნათქვამია ჟურნალ **The Atlantic-ში** გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით **„ილონ მასკი – პრეზიდენტი: მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა ადამიანმა აშშ-ის ფედერალურ მთავრობას ომი გამოუცხადა. ილონ მასკის გავლენას, როგორც ჩანს, ვერავინ აკონტროლებს“** (ავტორი – ჯონათან ლემაირი). „მილიარდერი თავის უფლებებით უკვე სარგებლობს და ფედერალურ უწყებებს ზედიზედ ხურავს ან ფორმატს უცვლის. სამწუხაროდ, მას ხელს ვერავინ ვერ უშლის“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**




## ილონ მასკი – პრეზიდენტი:
# მსოფლიოს ყველაზე მდიდარმა ადამიანმა აშშ-ის ფედერალურ მთავრობას ომი გამოუცხადა

## ილონ მასკის გავლენას, როგორც ჩანს, ვერავინ აკონტროლებს

The Atlantic

**მას ერთი ხმაც არ მიუღია, რადგან მისი კანდიდატურა კონგრესში არავის დაუმტკიცებია. იგი ხელფასს არ იღებს სახელმწიფოსგან, მაგრამ იგი სახელმწიფო სტრუქტურებს აუქმებს.**

მსოფლიოში ყველაზე მდიდარმა ადამიანმა აშშ-ის ფედერალურ სამთავრობო სტრუქტურებს ომი გამოუცხადა და რამდენიმე დღეში მათი რაოდენობა და უფლებამოსილებები მკვეთრად შეამცირა. იმავდროულად მან მიიღო უფლება, გაეცნოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოებებს. იგი საზოგადოებრივ დისკურსს აყალიბებს, მას აქვს სოციალური ქსელი და თავისი ქონების დახმარებით იმუქრება არჩევნების დროს პრობლემა შეუქმნას იმათ, ვინც მის წინააღმდეგ გამოვა.

ილონ მასკის გავლენა განუსაზღვრელად გამოიყურება და ეს მათ შეშფოთებას იწვევს, ვისაც ინტერესთა კონფლიქტის საკითხი აწუხებს, საიდუმლო დოკუმენტაციასთან დაშვება და ამ ადამიანის ფართო და საკმაოდ გაურკვეველი სახელისუფლო უფლებამოსილება. ასეთ ვითარებაში თავისი სიტყვა უნდა თქვას კონგრესმა, მაგრამ ძირითადად რესპუბლიკელების კონტროლქვეშ არსებული ფედერალური საკანონმდებლო ორგანო მაინცდამაინც არ ცდილობს, ილონ მასკის საქმიანობით დაინტერესებას. არადა, ამერიკის ადმინისტრაციაში არასოდეს არ ყოფილა მსგავსი კერძო პირი ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, თანაც განუსაზღვრელი უფლებებით.

„ვფიქრობ, ილონი კარგად ასრულებს თავის სამუშაოს – იგი მთავრობის ხარჯებს არსებითად, რეალურად ამცირებს“, – თქვა რეპორტიორების წინაშე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, როცა იგი ფლორიდიდან ვაშინგტონში თვითმფრინავით დაბრუნდა, – ზოგჯერ მას არ ვეთანხმებით – იქით არ მივდივართ, საითაც მას სიარული სურს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ილონ მასკი თავის ფუნქციებს მშვენივრად ასრულებს. იგი ჭკვიანი კაცია, ძალიან ჭკვიანი და მთელი გულმოდგინებით ცდილობს, ჩვენს უსასრულოდ გაზრდილ ფედერალურ ბიუჯეტს უსარგებლო ხარჯები მოაშოროს“.

ისარგებლა რა თავისი თანამდებობით, ილონ მასკმა სახელისუფლო სტრუქტურების წინააღმდეგ შეტევა რამდენიმე დღის წინ დაიწყო, ხარჯების რადიკალური შემცირების მიზნით. მის მიერ გაცხადებული ამოცანები იმაში გამოიხატება, რომ 500 მილიარდი დოლარით შეამციროს ყოველწლიური ხარჯები. რასაკვირველია, მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტს თავისი შეზღუდვებიც უნდა ჰქონდეს, მაგრამ ეს სტრუქტურა სახელმწიფო უწყებად არ ითვლება, რადგან სახელმწიფო უწყებებს მხოლოდ კონგრესი ქმნის. ილონ მასკის დეპარტამენტი პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა შექმნა თავისი ბრძანებულებით, მაგრამ იმ ფუნქციების შესრულება, რასაც ის აკეთებს, ანუ ფედერალური ხარჯების შემცირება და დარეგულირება, კონგრესის უფლებამოსილებას წარმოადგენს.

პირადად ილონ მასკის როლიც ნაკლებადგარკვეული და გაუგებარია. როგორც თეთრი




**ილონ მასკი ბოლო დღეებში ერთგვარი ჯალათის როლს ასრულებს. სამ თებერვალს მან თავის X Spaces-ში დაწერა, რომ დონალდ ტრამპთან შეხვედრისას ფართოდ იქნა განხილული „იუესაიდის“ პერსპექტივა და მათ მოილაპარაკეს, რომ ამ სააგენტოს დახურვა აუცილებელია. „მოკლედ, „იუესაიდს“ დავხურავთ“, – მოჭრა ილონ მასკმა.**

სახლის ერთ-ერთი ჩინოვნიკი ამბობს, ილონ მასკი დონალდ ტრამპის სახელით მუშაობს „განსაკუთრებული სახელმწიფო მოსამსახურის“ სტატუსით და აქვს უფლება, გვერდი აუაროს ინფორმაციის გასაიდუმლოების ფედერალურ წესებს. ილონ მასკი ხელფასს ბიუჯეტიდან არ იღებს.

**ილონ მასკს არ აქვს იურიდიული (საკონსტიტუციო) უფლებამოსილება, მაგრამ იგი ძალიან ახლოს დგას ხელისუფლებასთან. იგი დროდადრო თეთრ სახლშიც მუშაობს და „ტკბება“ თავისი თანამდებობით – პრეზიდენტის ყველაზე გავლენიანი მრჩევლის სტატუსით. კარგად არის ცნობილი, რომ დონალდ ტრამპს მაინცდამაინც არ უყვარს მრჩევლების ინსტიტუტი – პრეზიდენტის აზრით, მრჩევლები მას „ჩრდილავენ“, მაგრამ ილონ მასკით იგი ძალზე აღფრთოვანებულია: დონალდ ტრამპს ხიბლავს ის გარემოება, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანი მას ემსახურება.**

თეთრი სახლის ჩინოვნიკმა, რომელიც ილონ მასკის საქმიანობის შესახებ საუბრობს, ანონიმურობის დაცვა ითხოვა, რადგან საკითხი ეხება კერძო, კონფიდენციალური მონაცემების გამჟღავნებას. მისი თქმით, დონალდ ტრამპი ასევე თვლის, რომ ილონ მასკი მზად არის, საზოგადოებრივი კრიტიკის ცეცხლი საკუთარ თავზე გამოიწვიოს და ამით პრეზიდენტს შესაძლებლობას აძლევს, პასუხისმგებლობას თავი აარიდოს.

გასულ შაბათ-კვირას ილონ მასკმა თავისი „ცეცხლის“ სამიზნედ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო („იუესაიდი“ – USAID) აირჩია. მან თავის სოციალურ ქსელში ამ ფედერალურ უწყებას მოურიდებლად უწოდა „დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ბოროტება“, რომელიც, მისი მტკიცებით, „უნდა განადგურდეს“. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას, რომელიც საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში მხარს უჭერს პრინციპს „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“, ბუნებრივია, „იუესაიდის“ საქმიანობა არ მოსწონს. როგორც ცნობილია, USAID-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სასურსათო დახმარების გაწევა მსოფლიოს სახელმწიფოებისათვის, ახალი ადმინისტრაცია კი ამ დახმარებას აჩერებს, თანამშრომლების წმენდას ატარებს და ამით მასობრივ გაურკვევლობას ქმნის.

**ილონ მასკი ბოლო დღეებში ერთგვარი ჯალათის როლს ასრულებს. სამ თებერვალს მან თავის X Spaces-ში დაწერა, რომ დონალდ ტრამპთან შეხვედრისას ფართოდ იქნა განხილული „იუესაიდის“ პერსპექტივა და მათ მოილაპარაკეს, რომ ამ სააგენტოს დახურვა აუცილებელია. „მოკლედ, „იუესაიდს“ დავხურავთ“, – მოჭრა ილონ მასკმა.**

მილიარდერის ნათქვამიდან ორიოდე საათის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა მარკო რუბიომ გამოაცხადა, რომ იგი საკუთარ თავზე იღებს USAID-ის დროებითი დირექტორის ფუნქციებს, ხოლო თვით უწყება უშუალოდ გადადის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენლობაში. „იუესაიდის“ მომხრეები თვლიან, რომ ამ უწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და ჩინეთის გავლენის გასანეიტრალებლად, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „იუესაიდის“ მიერ გაწეულ დახმარებას შეუძლია ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობები მოსკოვს და პეკინს დააშოროს და ვაშინგტონს დაუახლოოს. სხვათა შორის, **რუსეთის ექს-პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მიესალმა „იუესაიდის“ დახურვას და „იქს-ქსელში“ დაწერა, რომ ილონ მასკმა ბრძნული ნაბიჯი გადადგა, როცა USAID-ს ხელი ყელში წაუჭირა. იმედს ვიტოვებ, რომ ყბადაღებული „სიღრმული სახელმწიფო“ ილონ მასკს („იუესაიდის“ მოხრჩობაში) ხელს ვერ შეუშლის“.**

მაგრამ მილიარდერმა შეიძლება ამ უწყების განადგურება ვერ შეძლოს. ზოგიერთმა დემოკრატმა კონგრესმენმა უკვე დაგმო USAID-ის გადაცემა სახელმწიფო დეპარტამენტის სრულ კონტროლქვეშ და განაცხადეს, რომ თავის დროზე კონგრესმა „იუესაიდი“-ცალკე უწყების სახით შექმნა და მისი დაქვემდებარების შეცვლა ან დახურვა კონგრესის შესაბამის გადაწყვეტილებას საჭიროებს. მაგრამ რადგანაც კაპიტოლიუმის შენობაში უმრავლესობა რესპუბლიკელებს აქვთ, დემოკრატთა კრიტიკა ამინდს ვერ შეცვლის. რესპუბლიკელები თავშეკავებულად იქცევიან და, როგორც ჩანს, ისინი მზად არიან თავიანთი საკანონმდებლო უფლებამოსილება მსხვერპლად შესწირონ დონალდ ტრამპისა და ილონ მასკის ინტერესებს.

რესპუბლიკელი კანონმდებლები ასევე არ ეწინააღდეგებიან ილონ მასკის გადაწყვეტილებას მისი კომპანიების (**Tesla**, **X** და Boring Company) თანამშრომლების დანიშვნის თაობაზე ზოგიერთ ფედერალურ უწყებაში, ვთქვათ, კადრების სამმართველოში, რომელიც პერსონალის დანიშვნას ახორციელებს ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებში. ილონ მასკის ზოგიერთი თანამშრომლის ასაკი 19-24 წელს არ აღემატება.

აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა სკოტ ბესენტმა ილონ მასკის დეპარტამენტის თანამშრომლებს დაშვების უფლება მიანიჭა იმ სტრუქტურის გასაკონტროლებლად, რომელიც თანხების გაგზავნას ფედერალური მთავრობის სახელით ახორციელებს. ამრიგად, მინისტრმა ილონ მასკს ხელში ჩაუგდო უწყება, რომლის ქონება 325 მილიარდ დოლარს აჭარბებს და რომელიც ფედერალური ხარჯების კონტროლისა და შემცირების მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს. სხვათა შორის, უწყების ხელმძღვანელი დევიდ ლებრიკი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ილონ მასკს, ჯერ შვებულებაში გაუშვეს, შემდეგ კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**„ამერიკელი გადასახადების გადამხდელთა მიერ ბიუჯეტში შეტანილი ფულის სწორი ხარჯვის გასაკონტროლე-**

**გლად და თაღლითობის შესაჩერებლად ერთადერთი გამოსავალია გადახდის თანხების ნაკადისადმი მკაცრი ზედამხედველობა და საეჭვო ოპერაციების დროული შეჩერება“, – დაწერა ილონ მასკმა „იქს-ქსელში“, – ბუნებრივია, რომ ვიღაც-ვიღაცეებს, რომლებიც თაღლითურ გადახდებს ახორციელებდნენ, კონტროლი არ მოსწონთ, მაგრამ სიტუაცია უნდა გამოსწორდეს“.**

2023 წელს ფინანსთა სამინისტრომ ფედერალურ უწყებებს შორის 5 ტრილიონ დოლარზე მეტი გაანაწილა. გადახდის სისტემაში დაშვება მკაცრად არის შეზღუდული – იმიტომ, რომ იქ მილიონობით ამერიკელი მოქალაქის კონფიდენციალური პერსონალური მონაცემები ინახება, მათ შორის იმათიც, რომლებიც პენსიებს და სხვა დახმარებებს იღებენ. ზოგიერთი დემოკრატი კონგრესმენი აცხადებს, რომ ილონ მასკს შეუძლია კონკურენტთა ბიზნესის თაობაზე მონაცემები მოიპოვოს, რაც ინტერესთა კონფლიქტს წარმოქმნის. ისინი თვლიან, რომ ილონ მასკისათვის გადახდის სისტემის გაკონტროლების უფლების მინიჭება მცდარი გადაწყვეტილებაა და ამიტომ სასამართლოში ჩივილს აპირებენ: **„ილონ, შენ უკანონოდ ჩაიგდე ხელში ხაზინის გადახდის სისტემისადმი კონტროლის უფლება, მაგრამ ამერიკელი ხალხის ფულის განკარგვას ვერ მოესწრები“**, – განაცხადა ვაშინგტონში „იუესაიდის“ შტაბბინასთან ახლოს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა, დემოკრატმა **ჯეიმი რასკინმა მერილენდის შტატიდან, – ამერიკის კონგრესი ამას კონსტიტუციის პირველი მუხლის შესაბამისად აკეთებს. ჩვენთან არ არსებობს მეოთხე ხელისუფლება სახელწოდებით „ილონ მასკი“.**

მაგრამ ჯეიმი რასკინის განცხადებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ვაშინგტონის ფედერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ედ მარტინმა განაცხადა, რომ პროკურატურა სამართლებრივ მოქმედებას განახორციელებს ყველა იმ პირის წინააღმდეგ, რომლებიც ხელს შეუშლიან მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის საქმიანობას.

გასულ კვირას ილონ მასკის ინიციატივით კადრების სამმართველოში მომზადდა წერილი სათაურით „გზაჯვარედინზე“, მასში გადმოცემულია მოთხოვნები, რომლებსაც მილიონობით ფედერალური მოსამსახურე უნდა დათანხმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი თანამდებობებიდან უნდა გადადგნენ. თეთრი სახლის ერთ-ერთი ჩინოვნიკის თქმით, წერილის სათაური თვითონ ილონ მასკმა მოიფიქრა. იგივე ფორმულირება გამოიყენა მან ყოფილი Twitter-ის (დღევანდელი „X-ქსელის“) თანამშრომლების მიმართაც, 2022 წელს, კომპანიის დაუფლების შემდეგ. რასაკვირველია, ბევრი თანამშრომელი მართლაც წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ, ილონ მასკს ახლა ძლიერი პოლიტიკური პლატფორმა აქვს არჩევნების შედეგებზე გავლენის მოსახდენად ყველგან, სადაც კი „იქს-ქსელით“ სარგებლობენ, ვთქვათ, ევროპის ქვეყნებში.

გასულ კვირას აშშ-ის საინფორმაციო სივრცეში მხოლოდ ორი ახალი ამბავი კონკურირებდა ერთმანეთთან – დონალდ ტრამპის გადასვლა ვაშინგტონში და სამგზავრო თვითმფრინავის შეჯახება ვერტმფრენთან, რომლის შედეგად 67 ადამიანი დაიღუპა. იმ დროს, როცა ამერიკელები ახალ ამბებს ამ საშინელი ტრაგედიის შესახებ (პირველად ბოლო 15 წლის განმავლობაში) ელექტრონულ ფოსტებში ელოდნენ, ტრანსპორტის უსაფრთხოების ეროვნულმა კომიტეტმა ამერიკელებს მიანიშნა, სად უნდა ეპოვათ მონაცემები: „მთელი ახალი ინფორმაცია ავიაკატასტროფის მიზეზების გამოძიებისათვის განთავსდება მხოლოდ „იქს-ქსელში“. ინფორმაციები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით არ გავრცელდება“.

**წყარო:** https://www.theatlantic.com/politics/archive/2025/02/president-elon-musk-trump/681558/

# რეზო ამაშუკელმა სამშობლოსთვის მფეთქავი გული წაიღო იქ, მარადისობაში!

მეშვიდე გვერდიდან



იმის მიუხედავად, რომ შევარდნაძეზე მერე რაღაცები სხვანაირად გადააფასა, ერთ სიტყვას ცუდს ვერ ათქმევინებდი, ერთგულების გრძნობა ჰქონდა, განსაკუთრებული, თან გარდაცვლილ ადამიანზე ცუდს არასდროს იტყოდა.

იყო ზედმეტად კონსერვატორი, იმის მიუხედავად, რომ მე ვიყავი ოჯახში, ასე ვთქვათ, პირველი „სკრიპკა“, არასდროს მანებივრებდა, ტრადიციულად და ამ ტრადიციების მკაცრი დაცვით მზრდიდა და მერე მეც ჩემი შვილები ამ პრინციპით გავზარდე. ახლა რომ ვფიქრობ, სწორი იყო მამა.

ჰქონდა უდიდესი მადლიერების გრძნობა, არავის დაუკარგავდა ერთი ბეწო სიკეთეს, სულ უმცირეს ყურადღებასაც კი.

მამას უკურნებელი დაავადება ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ მე ვიცოდი, დედამ და ექიმებმა. თვითონაც არ იცოდა. 31 დეკემბერს ყველას ჩამოურეკა, მიულოცა, ეხუმრა. ყველა ახლობლის ტელეფონის ნომერი ზეპირად იცოდა, ბოლო წუთამდე არ დაჰკარგვია მეხსიერება და საღი აზრი.

ავადმყოფობის დროს მთავრობის წარმომადგენლებიც აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ განსაკუთრებით მოსწონდა თეა წულუკიანი, თეა მისთვის, ასე ვთქვათ, ჯილა იყო.

**– სამაგიეროდ, ოპოზიციას და, კერძოდ, „ნაცმოძრაობას“ ემტერებოდა განსაკუთრებით.**

– ყველამ ვიცით, სასტიკად აკრიტიკებდა მამა „ნაცმოძრაობას“ და მის მიმდევრებს, თუმცა დაკრძალვაზე მაინც მოვიდა ანზორ მელია, რომელმაც მამას გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე ტელევიზიით მასზე ძალიან ცუდად ილაპარაკა.

ანზორის ვაჟს, როგორც ნაციონალების ლიდერს, მამა არ ზოგავდა, მაგრამ ანზორი იყო ის კაცი, რომელიც უდიდესი ყურადღებით მკურნალობდა მამას გულზე, სანამ ლეო ბოკერია წაიყვანდა მოსკოვში და თავისი ხარჯებით სტენტირებას გაუკეთებდა.

ანზორის მოსვლა მამას დაკრძალვაზე რაინდული საქციელი იყო იმის ფონზე, რაც ხდება დღეს. ამიტომ არ შემიძლია, არ ვთქვა მადლობა.

შეიძლება გულის სიღრმეში ანზორიც არ არის კმაყოფილი. მე ვიცი, ის სასტიკი წინააღმდეგი იყო „ნაცმოძრაობის“, მაგრამ შვილს წინ ვერ აღუდგები. ძნელია, თითქმის შეუძლებელია ასეთი რამე.

**– წეღან შევარდნაძე ახსენეთ, დღემდე ვერ პატიობენ მავანნი ბატონ რეზოს ედუარდ შევარდნაძესთან მეგობრობას და არა ზვიად გამსახურდიასთან.**

– გმადლობ, ირანდა, ეს შეკითხვა რომ დამისვი.

ბაბუაჩემი სრულიად არაპოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით გადაასახლეს, ბებიაც იყო გადასახლებაში, ბაბუასთან ერთად, გარკვეულ ხანს. როგორც უდედმამოდ დარჩენილი ბავშვი, მამაჩემი კვირაში ოთხი დღე იყო ოჯახის ახლობლებთან, კონსტანტინე გამსახურდიას სახლში, ქალბატონ მირანდასთან და თავისთავად, ძალიან ახლოს იყო ზვიადთანაც. მახსოვს, მერე ერთად დავდიოდით სიმპოზიუმებზე მამა, მე, ზვიად გამსახურდია, კოკო, დედამისი.

დღემდე სათუთად ვინახავ იატაკქვეშ გამოცემულ „საქართველოს მოამბეს“, რომელიც ხელიდან ხელში გადასცა ზვიადმა მამას.

მერე ეროვნული მოძრაობა მოდად იქცა და დღეს, როცა ვიღაც-ვიღაცები ლამის ამ მოძრაობის სათავეებთან მყოფებად წარმოგვიდგენენ თავს, სათავეებთან სწორედ მამაჩემი იდგა. თუმცა 1990 წლიდან, ვითარება რომ გამწვავდა, გვირეკავდნენ სახლში, გვემუქრებოდნენ ოჯახის აწიოკებით, ბავშვების დახოცვით.

**– ვინ გირეკავდათ, გაარკვიეთ?**

– კონკრეტულად ვინ იყო, არ ვიცით, მაგრამ მუქარები იყო ე.წ. ზვიადისტების მხრიდან.

ჩემი აზრით, ზვიადი ქართველებისთვის იყო იდეა, მაგრამ ამ იდეის სათავეებთან აღმოჩნდა ძალიან ბევრი მერკანტილური ინტერესების მქონე პირი. თინა ხიდაშელისნაირები, ზვიად ძიძიგურისნაირები, დარჩიაშვილისნაირები, ოჩიაურები, ხერხეულიძეები, რამდენი ჩამოვთვალო?! თუ ესენი ეროვნული იდეის მომხრეები და ზვიადის ერთგულები იყვნენ, როგორ აღმოჩნდნენ „ნაციონალურ მოძრაობაში“ სააკაშვილის გვერდით?

მამა დარჩა ეროვნული იდეის ერთგული, თუმცა მერე, როცა უკვე კულტურის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა, ზვიადმა შემოუთვალა: მოინანიოს და დავტოვებ სამსახურშიო. მამამ არ მოინანია.

**– რა უნდა მოენანიებინა?**

– მგონი ის, რომ პირველი დღეებიდანვე მიტინგებზე არ იდგა.

მე ვიცი, ზვიადი მამას შინაგანად არასოდეს უარუყვია. თქვა კიდევაც ერთხელ: შემეშალა რაღაცები, მეც კაცი ვარ და შეიძლება რაღაც არასწორად გამომივიდაო; მაგრამ რომ ამბობენ, ავტომატით დარბოდაო, არაა მართალი. ცხოვრებაში ხელში ავტომატი არ სჭერია, სანადიროდ დადიოდა ხანდახან, თუმცა ნადირობაც დიდად არ ხიბლავდა.

**– მერე არასდროს უცდია ზვიადს პირისპირ დალაპარაკებოდა? ბავშვობიდან რომ იცნობ, მის ოჯახში რჩები, სხვა ურთიერთობებია ეს.**

– იმდენი ცუდი ენები მიიტან-მოიტანეს, იმდენი მუქარები მოდიოდა ზვიადის მომხრეების მხრიდან, რომელთა შესახებ, შეიძლება, ზვიადმა საერთოდ არც იცოდა, მამამ ჩათვალა, არ ღირდა დალაპარაკება.

**– როგორც ვიცი, რეზო ამაშუკელი იყო თბილისში ერთ-ერთი პირველი, რომელიც 70-იან წლებში უსმენდა და თავადაც უკრავდა როიალზე სსრკ-ში აკრძალულ მუსიკას – ჯაზს, როგორ თავსდებოდა მასში ამერიკის მეხოტბე და მედასავლეთე და მკაცრი კონსერვატორი?!**

– მამა მედასავლეთე იყო იმ კუთხით, რომ უყვარდა ევროპული კულტურა და პატივს სცემდა მას. მახსოვს საღამოობით როგორ ვუსმენდით ჩუმად „ამერიკის ხმას“. სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად ბობ დილანიც იყო ჩვენი ოჯახის სტუმარი, მაგრამ ის ღირებულებები, რომლებიც მერე დასავლურის სახელით დაინერგა, ქვეყნის ღალატის ტოლფასი იყო მისი შეხედულებით და ვერ ითმენდა, ვერ ინელებდა ამას. ხშირად ამბობდა თავის საჯარო გამოსვლებშიც, ინტერვიუებშიც: მე ვიყავი ამერიკანისტი, მაგრამ, თუ ჩვენს ქვეყანას ძირს უთხრით და ანგრევთ, მე ასეთი ამერიკა არ მინდაო. ამერიკის ელჩსაც კი მიმართა ერთხელ ამ პრეტენზიით.

მხოლოდ ახლა კი არა, 2022-შიც ჰქონდათ ცოფიანი აქციები ე.წ. ოპოზიციონერებს. გაისმოდა მუქარები – დაგამხობთ, დაგლეწავთ. მაშინ დაურეკა მამამ პროგრამისტს, რომელიც წერდა მის ვიდეოებს და ათავსებდა სოციალურ ქსელში. ჩვენთან ყოფნიდან ორ დღეში პროგრამისტი კოვიდით დაავადდა. სავარაუდოდ, მისგან გადაედო მამაჩემს. ისე გაურთულდა, საავადმყოფოში დავაწვინეთ, კი გამოვაძვრინეთ მაშინ, მაგრამ სიმსივნის მიმდინარეობის პროცესი დაჩქარდა.

იმედი ბოლომდე ჰქონდა, რომ გამოვიდოდა მდგომარეობიდან და ისევ იბრძოლებდა, რის გამოც უძლებდა უამრავ გინებას და ლანძღვას. კვლავ გვირეკავდნენ, ზოგი ფეისბუქში გვწერდა. ერთმა ქალბატონმა დაგვირეკა, თავისი სახელი და გვარი გვითხრა და დასძინა: მთელი ოჯახი უნდა ამოწყდეთო. ესმოდა ეს მამას და ამბობდა: არ მწყინს მაგათგან არაფერიო, მაგრამ ვიცი, გულის სიღრმეში გული წყდებოდა. მამა იყო უდიდესი პატრიოტი და სამშობლოსთვის მფეთქავი გული წაიღო იქ, მარადისობაში.

ესაუბრა

**ირანდა კალანდაძე**

## რევაზ ინანიშვილის სახელობის სკოლის რეაბილიტაცია ოთხი მილიონი ლარი დაჯდა



**რევაზ ინანიშვილის** სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ახლად რეაბილიტირებული სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ გიორგი ჯინჭარაძემ გახსნა.

სოფელ ხაშმის სკოლის რეაბილიტაცია, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა.

სკოლის შენობა, რომლის რეაბილიტაციის ღირებულება 4 000 000 ლარზე მეტია, 320 მოსწავლეზეა გათვლილი.

სასწავლო სივრცეების პარალელურად, სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, სპორტული და სააქტო დარბაზები. ამასთან, კეთილმოწყობილია ბიბლიოთეკა, სასადილო, ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყო სკოლის გარე სივრცე და სპორტული მოედანი.

# გასკდით გულზე!

**45 ქვეყნის 1000-მდე წარმომადგენელი ჩაებმება ზამთრის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში, რომელსაც 9-დან 16 თებერვლამდე ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი უმასპინძლებენ. აბა, ქვეყანა კრიზისსა და სრულ იზოლაციაშიაო, რომ იზოდმება ოპოზიცია?!**

ჩვენ პერიოდულად გატყობინებდით აღნიშნული პრესტიჟული კომპლექსური ფორუმისათვის სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ჩართულობით განხორციელებული საშვილიშვილო ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამშობლო სრულ მზადყოფნაში ხვდება ტალანტთა უმნიშვნელოვანეს დათვალიერებას. მართლაც, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით შესრულებულმა კოლოსალურმა სამუშაომ სამართლიანად დაიმსახურა როგორც ადგილობრივი ოფიციოზის, ისე საერთაშორისო დამკვირვებელთა უმაღლესი შეფასებები, რაც გვიმყარებს რწმენას, რომ, ტრადიციისამებრ, საპატიო მისიას სამაგალითოდ გავართმევთ თავს.

ოპტიმისტური პროგნოზის გამოთქმის საფუძველს უახლოესი წარსულის გამოცდილება გვაძლევს, როცა 2015-ში წარმატებით მივიღეთ ზაფხულის მსგავსი ღონისძიება.

დავძენთ, რომ 8 დისციპლინიდან ჭვაროსნები 3-ში იასპარეზებენ, ჩვენი 8-წევრიანი დელეგაციის მედროშეები კი სამთომოთხილამურეები გიორგი ჯაფარიძე და ნელი უსტიმენკო იქნებიან.



**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა წინასაფესტივალო პრესკონფერენცია და ევროპის ზამთრის XVII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის წარდგენა**

**დამწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და ოლიმპიური დელეგაციის წევრებს წარმატებული ასპარეზობა უსურვა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა. „მჯერა, რომ მაქსიმალური მობილიზებით და შემართებით იასპარეზებთ, რათა საუკეთესო შედეგები აჩვენოთ და ასახელოთ ჩვენი ქვეყანა.“ საქართველოს ნაკრები გუნდი წარადგინა სეოკ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა. სამთო თხილამურობასა და ბიათლონში შეჯიბრებები ჩატარდება ბაკურიანში, ფიგურულ ციგურაობაში – ბათუმში. ოლიმპიური ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება 9 თებერვალს და დაიხურება 16 თებერვალს. გახსნის და დახურვის ცერემონიები გაიმართება ბაკურიანში. საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას უხელმძღვანელებს სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, სპორტსმენთა სოფელში მისიის ხელმძღვანელი იქნება სეოკ-ის სპორტული დირექტორი ივანე მეკრავიშვილი. საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა**

**სამთო თხილამურობა**

**1. იასონ ვეზდენი – სპორტსმენი 2. გიორგი ჯაფარიძე – სპორტსმენი 3. ირაკლი ხერგიანი – სპორტსმენი 4. გოგა გულედანი – სპორტსმენი 5. ანასტასია მირიანაშვილი – სპორტსმენი 6. ნელი უსტიმენკო – სპორტსმენი 7. სოსო ჯაფარიძე – მწვრთნელი 8. ალექსი ბენიაიძე – მწვრთნელი. ფიგურული ციგურაობა 9. ინგა გურგენიძე – სპორტსმენი 10. ლუდმილა გაფაროვა – მწვრთნელი. ბიათლონი 11. შიო ქუჩუკიანი – სპორტსმენი 12. ალექსანდრე ბუძიშვილი – მწვრთნელი 13. ივანე მეკრავიშვილი – მისიის ხელმძღვანელი 14. მიხეილ სიხარულიძე – მისიის ხელმძღვანელის მოადგილე (ბათუმის სპორტსმენთა სოფელში) 15. თეონა ომანაძე – პრესატაშე 16. გიორგი კერესელიძე – ადმინისტრაციული პერსონალი სპორტსმენთა სოფლის გარეთ 17. ლერი ხაბელოვი – სეოკ-ის პრეზიდენტი (დელეგაციის ხელმძღვანელი) 18. ელგუჯა ბერიშვილი – სეოკ-ის პირველი ვიცე – პრეზიდენტი 19. ნინო სალუქვაძე – სეოკ-ის ვიცე – პრეზიდენტი 20. ანზორ ჩუბინიძე – სეოკ-ის ვიცე – პრეზიდენტი 21. ემზარ ზენაიშვილი – სეოკ-ის გენერალური მდივანი 22. სალომე ჩიგოგიძე – მსაჯი (ფიგურული ციგურაობა) 23. მარიამ ალავიძე – ახალგაზრდა ამბასადორი**

# ემოციას, ოსტატობას



**ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში გიორგი შერმადინი გამორჩეულია როგორც პროფესიონალი, ისე პიროვნება, ამიტომ ის ფაქტი, რომელიც საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაში მოხდა, იმ იშვიათ გამონაკლისთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, როცა მსაჯობა მოთამაშეს კალაპოტიდან ამოაგდებს და აგრესიულობისაკენ უბიძგებს.**

საუბარია მანრესასა და ტენერიფეს ესპანურ დერბიზე, რომელიც კუნძულელებმა 84:73 კი მოიგეს, მაგრამ ეს საკმაოდ ძვირად – საკუთარი ლიდერის სარბიელიდან გაძევებად დაუჯდათ პირველი პერიოდის მიწურულს.

რაც შეეხება ევროლიგას, მორიგი შესანიშნავი შეხვედრა ჩაატარა **თორნიკე შენგელიამ,** რომელმაც ვირტუს – პარტიზანის ბრძოლაში (71:81) იტალიელებს 16 ქულა, 3 მოხსნა და ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის კარიერაში სარეკორდო – 8 ასისტი შეაშველა.

იმავე დღეს იყოჩაღა **გოგა ბითაძემაც,** რომელმაც საკრამენტო – ორლანდოს ბრძოლაში (121:130) სტუმრებს 14 ქულა და 7 მოხსნა შეაწია. მეჯიქი 25 გამარჯვებითა და 27 მარცხით საკუთარ კონფერენციაში მე-10 ადგილზეა და ინარჩუნებს პლეი-ოფში გასვლის შანსს.

# წილი ნაყარია

**ნიონში, უეფა-ს სათაო ოფისში, 21-წლამდელთა ნაკრების მომდევნო შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა. 2027 წლის ევროპის ჩემპიონატს, უეფა-ს გადაწყვეტილებით სერბეთი და ალბანეთი უმასპინძლებენ.**




საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრას მეორე კალათაში შეხვდა, ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრები, შესარჩევ ციკლში მონაწილე 51 ქვეყნის რეიტინგში, კოეფიციენტების მიხედვით მეჩვიდმეტე ადგილს იკავებს.

ჯგუფში, რომელიც სტარტს 2025 წლის სექტემბერში გასამართი პირველი ტურით აიღებს, ახალგაზრდულ ნაკრებს გერმანიასთან, საბერძნეთთან, ჩრდილოეთ ირლანდიასთან, ლატვიასთან და მალტასთან მოუწევს ასპარეზობა.

# ტოპ-სწორად – 6 ერზე

**უმცროსი ზორჯღალოსნები აპრილში საფრანგეთში გაემგზავრებიან და საკურორტო ქალაქ ვიშში ექვსი ერის ფესტივალზე ითამაშებენ.**

ფესტივალში საქართველოსა და ექვსი ერის ქვეყნებთან (ინგლისი, საფრანგეთი, ირლანდია, უელსი, შოტლანდია, იტალია) ერთად, წელს პორტუგალიის ნაცვლად ესპანეთი მიიწვიეს.

საქართველომ 18–წლამდელთა ექვსი ერის ფესტივალზე პირველად შარშან ითამაშა და ერთი ბრძოლა მოიგო – საფრანგეთთან 20:19, შოტლანდიას (14:22) და ინგლისს (19:26) კი მცირედით ჩამორჩა.

წლევანდელი ფესტივალი 10 აპრილს საქართველოსა და იტალიის მატჩით გაიხსნება; 14 აპრილს უელსს ვეთამაშებით; 18 აპრილს კი ირლანდიას ვერკინებით.

ფესტივალისთვის უკეთ მომზადების მიზნით, უმცროსი ბორჯღალოსნები ორ შეკრებას გამართავენ. პირველი შეკრება 24–28 თებერვალს გაიმართება, ხოლო მეორე ხანგრძლივი შეკრება 10 მარტს დაიწყება და 4 აპრილს დასრულდება. ზურაბ ამონაშვილის შეგირდები საფრანგეთში 7 აპრილს გაემგზავრებიან.




# ძალიც შესწევს ქადილისა!

**UFC-ის ქართველი ჩემპიონი ილია თოფურია ავსტრალიაში იმყოფება, სადაც თავის ძმას ალექსანდრე თოფურიას ბრძოლისთვის მზადებაში ეხმარება.**

ილია თოფურიამ ჟურნალისტებთან ისაუბრა, სადაც მის სამომავლო გეგმებზე და ისლამ მახაჩევთან შესაძლო ჩხუბზე კომენტარი გააკეთა.

**„ისლამ მახაჩევთან ჩხუბი არის ის, რისი გაკეთებაც მინდა, თუმცა ამ ყველაფერს მე არ ვწყვეტ. ეს ყველაფერი UFC-იმ უნდა გადაწყვიტოს. თუ ისინი მეტყვიან, რომ უნდა გავაგრძელო ჩემს დივიზიონში ჩხუბი ასე ვიზამ და თუ მეტყვიან ზედა წონაში ასვლას, ამას სიხარულით გავაკეთებ. რაც შეეხება ისლამს, ის კარგი მებრძოლია, მაგრამ მსოფლიოში საუკეთესო მებრძოლი მე ვარ და რაც მომესურვება იმას გავუკეთებ,რადგან მასზე ბევრად უკეთესი ვარ.“** – განაცხადა ილიამ.

ილია თოფურიამ ბოლო ბრძოლა 26 ოქტომბერს მაქს ჰოლოვეის წინააღმდეგ გამართა, რომელიც ნოკაუტით მოიგო და ქამარი წარმატებით პირველად დაიცვა.



**ავთანდილ ასათიანის გაწვრთნილმა საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი ისტორიაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ დააჭაშნიკა და ადვილი შესაძლებელია, რომ მსგავსი მიღწევა ამჯერადაც გაიმეოროს.**

ასეთი ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის საფუძველს მომავალი ფორუმის გათამაშების ცხრილში შექმნილი ვითარება გვაძლევს, სადაც ჯვაროსნები 3 გამარჯვებით მე-2 ადგილზე არიან და ფავორიტ ფრანგებს, რომლებიც ჯგუფური კვარტეტის ლიდერები არიან, ბოლო ტურში უმასპინძლებენ აპრილში ისევე, როგორც ეწვევიან იმავე დღეებში კოსოვოს. მანამდე კი...

როგორც მოგეხსენებათ, პირველი წრის ფინიშზე თბილისში ბულგარეთი დავიბრიყვეთ – 6:1. ის, რომ ეს მეტოქენი სხვადასხვა წონით კატეგორიებს წარმოადგენენ, პლოვდივში გამართულმა საპასუხო შეხვედრამაც დაადასტურა, რომელიც 5:1 მოვიგეთ (ღავთაძე – 3, ხარატიშვილი, ბერეჩიკიძე).

რაც შეეხება დებულებას, საუკეთესო გუნდი პირდაპირ დაუფლება დასკვნითი ეტაპის

# ახლოა ევროპამდე

საგზურს, 10-დან 8 მეორეადგილოსანი კი მის მოსაპოვებლად პლეი-ოფში იბრძოლებს.



# ევროპისთვის ჯერ კიდევ უცნობი გასტრონომიული სამოთხე, სადაც ღვინო და საჭმელი ძალზე იაფია



მეხუთე გვერდიდან

რთველში მონაწილეობის მისაღებად წავედით ვენახში, სადაც წინასწარ იყო მომზადებული სეკატორები და დაწნული კალათები. მწიფე ქარვისფერი და ლალისფერი ყურძნით სავსე კალათები მივიტანეთ საწნახელთან, სადაც ვაზის ნაყოფის დაწურვა ხდებოდა, შემდგომი ფერმენტაციისა და დაღვინებისათვის.. შემდეგ ჩვენ დავსხედით მწვანე მინდორზე, სასტუმრო-რესტორან „ლოპოტას“ პერსონალი კი ღორის მიმზიდველად დაცვარული გემრიელი მწვადით, შემწვარი კვახით და ხილით გვიმასპინძლდებოდა. „ლოპოტა“ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა 9 საცურაო აუზით, სპა-სალონით, და 5 რესტორნით (ჯაზ-კლუბის ჩათვლით) და რეგიონში ერთ-ერთ ძვირად ღირებულს წარმოადგენს. თუმცა ამ ძვირფასი სასტუმროს ნომრის ღირებულება მხოლოდ 220 გირვანქა სტერლინგს შეადგენს ერთ ღამეში.

თქვენ რომ ანალოგიურ სასტუმროში სადღაც ბურგუნდიაში ან ტოსკანაში (იტალია) იცხოვროთ, ერთ ღამეში 350 და მეტ გირვანქა სტერლინგს დახარჯავთ. საქართველოში კი რთველის დღესასწაულში მონაწილეობის დროს სასმელ-საჭმელი და გართობა-დასვენება უფასოა.

ასეთ სამოთხისებურ ადგილზე ყოფნისას ძნელი დასაჯერებელია, რომ კავკასიის მთების ძირში მდებარე კურორტ ლოპოტას მიღმა რუსეთი მდებარეობს. თუმცა ადგილობრივი მცხოვრებლები, მაგალითად, ნინო მამისაშვილი, ექსკურსიების გიდი, ოპტიმისტურად არის განწყობილი: „ჩვენ აქ რაიმე საფრთხეს არ ვგრძნობთ... საქართველოში ოდითგანვე ხდებოდა კონფლიქტები, ახლა კი სიმშვიდეა“.

საღამოს თბილისისაკენ რომ ვბრუნდებოდით, გზაში საკმაო დრო დავხარჯეთ, თუმცა სასიამოვნო მიზნისათვის – ჩვენმა ტუროპერატორმა **Regent Holidays**-მა დაგვათვალიერებინა საუკეთესო ადგილობრივი ვენახები და სადეგუსტაციო ღვინის მარნები, მაგალითად, კომპანია „შუმის“ მარანი, რომელიც პოპულარულია თავისი „მომღერალი შადრევნებით“ და მანათობელი გირლიანდებით, რომლებიც ჯადოსნურ ატმოსფეროს ქმნიან.

დეგუსტაცია საფრანგეთში უფასოა, მაგრამ ძალიან ცოტას თუ გთავაზობენ იმ ანგარიშით, რომ რაღაცას მაინც შეიძენ. საქართველოში კი სულ რაღაც 10 გირვანქა სტერლინგად შეგიძლიათ რამდენიც გსურთ იმდენი დალიოთ, ყველა ჭურჭელი ღვინით შეავსოთ, რომელიც თან გაქვთ და წაიღოთ. პარალელურად მეღვინე უფასოდ გაგისმასპინძლდება ადგილობრივი გემრიელი საჭმელებით. პირადად მე ღვინოც დავაგემოვნე და საჭმელებიც მივირთვი.

„ჩვენ, ქართველებს, ასეთი ბრძნული გამოთქმა გვაქვს: „სტუმარი ღვთისაა“, – ამბობს ლალი ბალამწარაშვილი, **Regent Holidays**-ის გიდი, – სტუმართმოყვარეობა ყველა ქართველისათვის ბუნებრივი გრძნობაა“.

მე თამადა არ ვარ, მაგრამ ყველას გთავაზობთ შესვათ ქართული სტუმართმოყვარეობის სადღეგრძელო.

**წყარო: https://www.independent.co.uk/travel/europe/georgia/georgia-food-travel-b2685721.html**



## ხსოვნა

# თენგიზ იოველის ძე ბაკურაძე



რაჭის ტექნიკურმა ინტელიგენციამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 79 წლის ასაკში გარდაიცვალა საგზაო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი **თენგიზ იოველის ძე ბაკურაძე.**

თენგიზ ბაკურაძე დაიბადა 1945 წლის 6 მარტს ქ. ამბროლაურში, სოციალისტური შრომის გმირის იოველ ბაკურაძის ოჯახში. 1962 წელს დაამთავრა ამბროლაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საავტომობილო გზების სპეციალობაზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შრომითი მოღვაწეობა დაიწყო ამბროლაურის N10 საგზაო სამმართველოში, სადაც მან 55 წელი იმუშავა, გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან სამმართველოს მთავარი ინჟინრის ჩათვლით.

თენგიზ ბაკურაძის ოჯახი მთელს რაჭაში გამოირჩეოდა თავისი სტუმართმოყვარეობით. წლების განმავლობაში ეს ოჯახი მასპინძლობდა რაჭის თითქმის ყველა საპატიო სტუმარს. 1991 წლის ზაფხულში ამ ოჯახს სტუმრობდა და ღამე გაათია საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

თენგიზ ბაკურაძეს, რომელმაც 55 წელი იმუშავა საგზაო სისტემაში, განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ დარგის განვითარებისთვის რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.

თვითონ სახელოვანი ტრადიციების ოჯახში აღზრდილი თენგიზ ბაკურაძე, თავისი გამორჩეული პიროვნული თვისებებით, თანდაყოლილი სიკეთით და განუმეორებელი იუმორით, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა როგორც კოლეგებში, ისე მის უახლოეს სანათესაო და სამეგობრო წრეებში. იგი იყო შესანიშნავი მეუღლე და მამა.

თენგიზ ბაკურაძის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების გულში!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი თენგიზის სული, ამინ!

**მეგზევეთა სახელით**

**ოთარ კერვალიშვილი,**
**რაჭის გადარჩენისა და განვითარების კავშირის თანათავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი**

# ეს რა იკადრეთ, წუპაკო აბულაძეებო!



**შშმ პირს აიძულებდნენ მეძავობას, ფიზიკურად უსწორდებოდნენ, სძალავდნენ ფულს და არ აძლევდნენ საკვების მიღების საშუალებასაც! ვინ არის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომელიც პოლიციამ დააკავა**

სექსუალური ექსპლუატაციის ბრალდებით თბილისში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დააკავეს, რომლებიც 40 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს სხვადასხვა მამაკაცებისთვის სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდნენ, მიღებულ თანხას კი თავად ეუფლებოდნენ.

ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით, მსხვერპლი იძულებული, იყო მთელი დღის განმავლობაში სექსუალური მომსახურება არაერთი კლიენტისთვის გაეწია. საქმეში დევს ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერებიც. ირკვევა, რომ საკმარისი თანხის არქონის გამო შშმ ქალი ბრალდებულმა ლევან აბულაძემ სასაფლაოზე აიყვანა და სასტიკად სცემა. საქმის მთავარი ფიგურანტია მისი მეუღლე, 48 წლის ხათუნა აბულაძე, რომელსაც ქმარი ძალადობის შემდეგ ანგარიშს ტელეფონით აბარებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებში ისმის, თუ როგორ აიძულებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა ქალს სხვადასხვა პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. ამ გზით გამომუშავებულ თანხას კი ცოლ-ქმარი სრულად ეუფლებოდა. მეტი სარგებლის მიღების მიზნით, ქალს დღის განმავლობაში საკვების მიღებასაც კი უკრძალავდნენ.

სექსუალური ექსპლუატაციის ადგილი მტკვრის მარცხენა სანაპიროა. 40 წლის მსხვერპლი აქ თითქმის ყოველდღიურად გამოდიოდა და სხვადასხვა მამაკაცთან სექსუალური მომსახურებით გამომუშავებულ თანხას ტრეფიკიორებს სრულად ურიცხავდა. ამავე ტერიტორიაზე მდებარე კომერციულ დაწესებულებებში მსხვერპლს კარგად იცნობენ, თუმცა ძალადობის შესახებ ინფორმაცია, მხოლოდ ახლა შეიტყვეს.

დაზარალებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში გადაიყვანეს. ბრალდებულ ცოლ-ქმარს კი სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. მათ 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

# დააკავეს 40 წლის პ ე დ ო ფ ი ლ ი

**14 წლის გოგონას მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ფაქტზე, 40 წლის კაცი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ინტერნეტ სივრცეში, სოციალური ქსელების, მათ შორის, „**Facebook**“-ის ყალბი გვერდების გამოყენებით, 13 და 14 წლის არასრულწლოვან გოგონებს უკავშირდებოდა, ეცნობოდა მათ სხვადასხვა სახელით, უმალავდა საკუთარ ასაკსა და ვინაობას. ბრალდებული არასრულწოვნებთან სექსუალური შინაარსის მიმოწერებს ახორციელებდა და პორნოგრაფიული შინაარსის ფოტო-ვიდეო, მასალას უგზავნიდა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით, გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და მტკიცებულებების მოპოვება მყისიერად უზრუნველყო. მათ შორის, ჩატარდა პედოფილიაში მხილებული ბრალდებულის პირადი ჩხრეკა, ასევე, მის სარგებლობაში არსებული ავტომანქანის და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა. მტკიცებულების სახით ამოღებული იქნა ბრალდებულის მობილური ტელეფონები და ელექტრონული ინფორმაციის შესანახი სხვა ობიექტები.

გამოძიების მიერ აღნიშნული მასალების შესწავლის შედეგად, ბრალდებულის ტელეფონში ნანახი იქნა ათამდე „**Facebook**“-ის და “**Instagram**”-ის ყალბი გვერდი, რომლის გამოყენებითაც ასეულობით პირთან, მათ შორის არასრულწლოვნებთან განხორციელებული აქვს კომუნიკაცია. გარდა ამისა, ნანახი იქნა პორნოგრაფიული და პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა, რომელსაც ბრალდებული წლების განმავლობაში უკანონოდ მოიპოვებდა.

სამსახური გამოძიებას არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით წარმართავს და ბავშვების უფლებებს საქმის ყველა სტადიაზე დაიცავს.

დაკავებულს ბრალდება კანონით დადგენილ ვადაში წარედგინება.

**დანაშაული 5-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**



# მირიან ხუხუნაიშვილის პოლონური წარმატება

**დირიჟორ მირიან ხუხუნაიშვილის შემოქმედებით ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – მუსიკოსი ვროცლავის ოპერის მუსიკალურ ხელმძღვანელად დაინიშნა:**

„ჩემს სამშობლოში განვითარებული მოვლენების გამო, ჩემი სიხარული კოჭლია, თუმცა მინდა მაინც გაგიზიაროთ, რომ 2025 წლის სექტემბრიდან, პოლონეთის ერთ-ერთი გამორჩეული საოპერო თეატრის, ვროცლავის ოპერის მუსიკალური ხელმძღვანელი ვიქნები

13 წლის წინ, როცა პოლონეთში სასწავლებლად წავედი, იმ სითბომ, სიყვარულმა და მხარდაჭერამ, რომელიც თავიდანვე მივიღე პოლონელებისგან, პოლონეთი ჩემი მეორე სახლი გახადა.

ამდენი წლის შემდეგ კი, კოლექტივებთან, რომელთა წარმოდგენებისთვის ოდესღაც რიგში ვიდექი, ახლა კონცერტებს ვმართავ.

პოლონეთი კვლავ გახდა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

2025 წლიდან ყველაზე მეტ დროს ვროცლავის ოპერაში გავატარებ.

მაგრამ ჩემი მუსიკალური ცხოვრება პოლონეთში, აქ არ მთავრდება – ასევე მჭიდროდ ვითანამშრომლებ **Elblag**-ის კამერულ ორკესტრთან (**Elblaska Orkiestra Kameralna**), ორკესტრთან, რომელმაც ჩემი გული მოიგო პირველივე წუთებიდან.

ჩვენ უკვე დავპირდით ერთმანეთს, რომ წელიწადში მინიმუმ ოთხ კვირას გავატარებთ ერთად, როგორც მათი მთავარი დირიჟორი.”

# მუსიკალური სასწავლებელი სუფსაში



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ სუფსაში, მუსიკალური სასწავლებლის ახალი შენობა გაიხსნა. ინფორმაციას ლანჩხუთის მერია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ახალ შენობაში გადასვლა სამუსიკო სკოლის პედაგოგებს, აღსაზრდელებსა და მშობლებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძესთან და სუფსის მაჟორიტარ დეპუტატთან ია მოქიასთან ერთად მიულოცა.

ღონისძიებას მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები დაესწრნენ.

# ოზურგეთში კომფორტული ელექტრომატარებლით...

**გაცნობებთ, რომ 2025 წლის 11 თებერვლიდან თბილისი-ოზურგეთი-თბილისის მიმართულებით სწრაფი და კომფორტული ელექტრომატარებელი (№854/853) იმოძრავებს. სამგზავრო მატარებლის ტევადობა დაახლოებით 100 ადგილით გაიზრდება და მგზავრობის ხანგრძლივობა თითქმის 2 საათით შემცირდება. თბილისი-ოზურგეთი-თბილისის მატარებელი რეისებს დღეგამოშვებით შეასრულებს. კერძოდ, თბილისიდან გავა 09:00-ზე და ოზურგეთში ჩავა 16:18-ზე, ხოლო ოზურგეთიდან 08:40-ზე დაიძრება და თბილისში 16:00-ზე ჩამოვა. აღნიშნულ მიმართულებაზე მეორე კლასის ბილეთის ღირებულება 11-15 ლარი იქნება. მატარებლის ბილეთების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს რკინიგზის სალაროებსა და ონლაინ ვებ-გვერდზე gr.com.ge-ზე.**




# კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი

**8 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმიდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.**



...დავით მეფე – ღვთის მოშიში, განსწავლული, ბრძნად-მეტყველი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, რანთა, კახთა, ქართველთა, სომეხთა... მან თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას, თავისი მეფობის პირველ წლებში მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ **მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.**

კეთილმსახურმა მეფემ საქართველოს გაერთიანება დაასრულა დიდგორთან ომის მოგების, თბილისის აღების და დმანისის შემოერთების შემდეგ.

საგულისხმოა ის, რომ მეფე დავითს მუდამ შეეწეოდა და გამარჯვებას მოსდევდა გამარჯვება უფლის შემწეობით.

...თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა გელათის მონასტრის მშენებლობით დაასრულა. მან დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი მონასტერს შესწირა. საზღვარგარეთ ბევრ სავანეს თავისი მზრუნველობის ხელი დაატყო. წყალობითა და სიუხვით სავსე მეფე ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს. მწიგნობარი მეფე დავითი თავისუფალ დროს საღმრთო წერილისა და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა.

...დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

**გიული ლიპარტია**

# მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კუნძული დატოვა!

## ბოლო ცნობები საბერძნეთიდან

**სანტორინზე მიმდინარე მოვლენები მთელი საბერძნეთის ყურადღების ეპიცენტრშია.**



მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კუნძული დატოვა და ათენისკენ გაემართა, რადგან შიშის გამო სახლებში დარჩენა არ შეუძლიათ. ექსპერტები ყველანაირ სცენარს ღიას ტოვებენ და ეფთიმიოს ლეკასის განცხადებით, რაც უფრო ჭიანურდება ძირითადი მიწისძვრის მოხდენა, მით უფრო იზრდება შანსი, რომ ის უფრო ძლიერი იყოს.

ყველაზე უარესი სცენარი, ალბათ, ის არის, რომ მოხდეს 6-ბალიანი მიწისძვრა, მაგრამ არც გარანტიები არსებობს, რომ ნამდვილად ასეთი ძლიერი იქნება.

„სანტორინის მკვიდრები არ უნდა იყვნენ პანიკაში, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რადგან მიზეზი, რომ გავიქცეთ, არ გვაქვს. უბრალოდ, ემოციურად რთულია, როდესაც ბიძგები გაუჩერებლად გვაქვს და გასაგებია ხალხის აღელვება. ჩვენ მუდმივ მონიტორინგს ვაწარმოებთ და ვადგენთ სეისმურ ხარვეზებს,“ – აცხადებს ლეკასი.

სანტორინისა და ამორგოს ტერიტორია იანვრიდან მოყოლებული აქტიურია სეისმურად, თუმცა, ბოლო სამი დღის მანძილზე ბიძგების ძალა უკიდურესად დიდია.

# ჩინური რობოტი მთვარის უხილავ მხარეს შეისწავლის

**2026 წელს ჩინეთი მფრინავ რობოტს მთვარის უხილავ მხარეს გაყინული წყლის აღმოსაჩენად გააგზავნის. ეს შეიძლება დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის სამომავლო შესწავლის გასაღები გახდეს, – წერს CNN-ი.**



რობოტიზებული „მფრინავი დეტექტორი“ მთვარის სამხრეთ პოლუსზე განთავსდება ჩინური კოსმოსური მისიის „ჩანიე-7“-ის ფარგლებში.

2024 წელს ჩინელმა მეცნიერებმა მთვარის ნიადაგის სინჯებში წყალი აღმოაჩინეს, მანამდე იგივე აღმოჩენას NASA-ს და ინდოეთის კოსმოსურმა ხომალდებმა მიაგნეს, თუმცა სპეციალისტების მთავარი მისია ახლა გაყინული წყლის აღმოჩენაა, რომელიც სამომავლოდ მისცემს მათ საშუალებას შეამცირონ მთვარეზე წყლის მიწოდების დრო და დანახარჯი, ააშენონ ბაზა და შეისწავლონ სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა მთვარესა და სხვა პლანეტებზე. ექვსფეხა კოსმოსურ ზონდს შესაძლებლობა ექნება იხოხოს, იხტუნოს, იფრინოს. შესაბამისად, ის შეძლებს შეისწავლოს მთვარეზე ღრმა კრატერები, რომლებიც ჩვეულებრივი მთვარემავლებისთვის მიუწვდომელია.

ერთ-ერთი მეცნიერის ვუ ვეირენის თქმით, მთვარის სამხრეთ პოლუსზე ძალიან ღრმა მღვიმეებია და იქ შესაძლოა, იყოს წყალი. ექვსფეხა კოსმოსური ზონდის მისია სწორედ ამ ღრმა კრატერების შესწავლა იქნება.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,
არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 თებერვალს**